ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ევროპაში ინტრიგა ესპანეთში დარჩა



გვ.9

## სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 07.05 | ინგოლშტადი-ბაიერნი | 11.0 | 6.0 | 1.25 |
| 07.05 | აინტრახტი-დორტმუნდი | 7.0 | 5.0 | 1.4 |
| 07.05 | გლადბახი-ლევერკუზენი | 1.91 | 3.6 | 3.75 |
| 07.05 | გაზელეკი-პსჟ | 6.0 | 4.4 | 1.5 |
| 07.05 | ნიცა-სტ.ეტიენი | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 07.05 | ლიონი-მონაკო | 1.85 | 3.75 | 4.0 |
| 08.05 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 1.85 | 3.75 | 4.0 |
| 08.05 | სიტი-არსენალი | 2.3 | 3.4 | 3.0 |
| 08.05 | ლივერპული-უოტფორდი | 1.44 | 4.33 | 7.5 |
| 08.05 | რეალი-ვალენსია | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 08.05 | ლევანტე-ატლეტიკო | 13.0 | 6.0 | 1.22 |
| 08.05 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.02 | 17.0 | 41.0 |
| 08.05 | ფროზინონე-სასუოლო | 3.75 | 3.75 | 1.91 |
| 08.05 | ტორინო-ნაპოლი | 6.0 | 5.0 | 1.44 |
| 08.06 | ვერონა-იუვენტუსი | 6.0 | 4.0 | 1.5 |

შაბათი — კვირა, 7 — 8 მაისი, 2016

№107 (7033)

ფასი: 50 თეთრი

# „ნაცმოძრაობაზე კონტროლი გიგა ბოკერიამ დაამყარა“



გვ.3

## ლადო სადღობელაშვილი: „ვაშაძე ადეიშვილი-სააკაშვილის დაპირისპირებას შეეწირა“



## ნუგზარ წიკლაური და გოკა გაბაშვილი სიის მიღმა დარჩნენ



გვ.5



## უსუფაშვილი ნარმანიას წინააღმდეგ



გვ.5



## ალასანია ივანიშვილს ემუქრება



გვ.6

„მე დავიწყებ ხალხის მობილიზებას ქუჩის საპროტესტო აქციებში“

ალეკო ელისაშვილი: „სპიკერმა მერის იმპიჩმენტზე ლიად მიუთითა“





გვ.2

## დავით დარჩიაშვილი: „ვაშაძემ თავისი გამოუცდელობის გამო გვიგანა“



ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# დავით დარჩიაშვილი: „ვაშაძემ თავისი გამოუცდელობის გამო გვიგანა“

ნათია ხურცილავა

**ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ნაციონალურ მოძრაობაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**



***– ბატონო დავით, პარტიის მიერ გამართულ შეკრებაზე რა საკითხებზე იყო საუბარი, რა გადაწყვეტილება მიიღეთ?***

– ამ შეკრებაზე ძირითადად საარჩევნო სიაზე იყო საუბარი. სიის ფორმირება, შეიძლება ვთქვათ, რომ უკვე თითქმის დასრულებულია და უახლოეს მომავალში ამომრჩეველი გაიგებს, ვინ არის ამ სიაში წარმოდგენილი. შიდა დემოკრატიის მეშვეობით ხდება სიის ფორმირება. არსებობს სამდივნო, სადაც წარმოდგენილი არიან პარტიის მდივნები სხვადასხვა პოზიციიდან და მათ მიერ ხდება სიის წარმოდგენა, ასევე – რეგიონები. მათ შორის თბილისის მიერ ხდება სიის წარმოდგენა და ა.შ. ამ პრინციპით ხდება ნაციონალურ მოძრაობაში საარჩევნო სიის ფორმირება.

***– ძირითადად ვისზე კეთდება აქცენტი? ესენი არიან ყოფილი პოლიტიკოსები, რომლებსაც საზოგადოება კარგად იცნობს თუ პოლიტიკაში გამოუცდელ ხელოვანებზე?***

– რას ნიშნავს ყოფილი პოლიტიკოსი? ადამიანი არის პოლიტიკაში და მას იცნობს საზოგადოება, თუ ის არის ყოფილი დეპუტატი, ის მაინც რჩება, როგორც პოლიტიკოსი და ერკვევა პოლიტიკურ პროცესში. სიაში იქნებიან როგორც პოლიტიკოსები, ასევე ის ადამიანები, რომლებიც ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად არიან ცნობილი, შეიძლება პოლიტიკური წარსულით – არა, მაგრამ თავიანთი საქმიანობით. მე არ ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ საერთოდ საზოგადოებისთვის უცნობი ადამიანები იყვნენ სიაში წარმოდგენილი.

***– თქვენ კი ისაუბრეთ შიდა დემოკრატიაზე, მაგრამ მაინც ვინ ახდენს სიის ფორმირებას? ეს ხდება კონსენსუსის გზით თუ როგორ?***

– კონსენსუსი ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ ყოველთვის შეიძლება, კონსენსუსი არ იყოს მიღწეული. კონკურენციის რეჟიმია როგორც გარეთ, ისე შიგნით პარტიებში. დანარჩენი გითხარით, თუ როგორ ხდება. ძირითადად სამდივნოების მიერ ხდება სიის წარმოდგენა.

***– სამდივნოში რას გულისხმობთ?***

– მაგალითად, სერგო რატიანი არის ერთ-ერთი მდივანი, ასევე სხვები არიან მდივნები და მათ მიერ ხდება წარმოდგენა. პარტიაში არის ლეგიტიმური ორგანოები და აქ ხდება შემდეგ უკვე გადაწყვეტილების მიღება.

***– თუ ასეა, რა არ მოეწონა გიორგი ვაშაძეს, თქვენი პარტიის უკვე ყოფილ წევრს?***

– დიახ, ის უკვე ყოფილი წევრია. თუ რა არ მოეწონა, ეს მას უნდა ჰკითხოთ.

***– ის კაბინეტურ მმართველობაზე აკეთებს აქცენტს, მიუთითებს ძველ სახეებზე, პირდაპირ ასახელებს რამდენიმე გვარს: მაჭავარიანს, გოგორიშვილს, გაბაშვილს, ბარამიძეს, რომლებიც აფერხებენ პარტიის განვითარებას, განახლებას.***

– რა ვიცი, მე არაფერი შემიმჩნევია ამ ადამიანებისთვის იმის მსგავსი, რომ პარტიის განვითარება შეეფერხებინოთ. თვითონ იყო ერთ-ერთ პოზიციაზე და შეეძლო გაეკეთებინა უფრო მეტი, თუ უნდოდა. მე ერთადერთი სიტყვა მესმოდა ვაშაძისგან – „ინოვაცია“, მაგრამ ვერაფერი მეტი ინოვაციური ველარ დავინახე მისგან. ის საუბრობდა იუსტიციის სახლებზე.

***– და მას თავის მიღწევად მიიჩნევს.***

– ეს არ არის მისი მიღწევა, ეს არის საერთო გამარჯვება. უმთავრესი მიღწევა და გამარჯვება იყო კორუფციის დამარცხება, ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის. გიორგი ვაშაძე გამოუცდელია პოლიტიკაში, ის პოლიტიკურ პროცესებში 2012 წელს ჩაერთო, მაშინ მოვიდა, მანამდე 6 წელი იმ სტრუქტურაში მუშაობდა. პოლიტიკაში როდესაც გამოუცდელი ხარ, მაშინ იღებ ასეთ გადაწყვეტილებებს. ვაშაძემ გამოუცდელობის გამო გვიგანა.

***– ვაშაძის პარტიიდან წასვლა არ არის პირველი შემთხვევა. კიდევ ელოდებით, რომ ვინმე გაჰყვეს ვაშაძის გზას? კანდელაკზე, თაქთაქიშვილზეც იყო საუბარი.***

– მე რამდენადაც ვიცი, ეს ადამიანები არსად აპირებენ წასვლას.

***– ხშირად გვესმოდა, რომ ნაციონალური მოძრაობა მონოლითურია. პარტია მყიფეა თუ შეკრულია?***

– ნაციონალური მოძრაობა როდესაც ხელისუფლებაში იყო, მაშინაც მიდიოდნენ ვილაცები პარტიიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პარტია ერთიანი და კონსოლიდირებული არ არის. ვინც წავიდნენ, მათ თავიანთი არჩევანი და გზა აქვთ.

***– ვაშაძე ამ ყველაფერზე პარტიაში, შიგნით საუბრობდა თუ პარტიის დატოვების შემდეგ დაიწყო საუბარი?***

– მისგან მხოლოდ ერთადერთი რამ მესმოდა, „ინოვაცია“, მეტი არაფერი.



***– პარტიის შიგნით კონფლიქტი იყო?***

– არ ვიცი, რას ეძახით კონფლიქტს, მაგრამ კონფლიქტი ადამიანური თვისებაა, როდესაც სხვადასხვა პოზიციაზე ხართ.

***– სააკაშვილის ჩაჩოჩებასა და გიგა ბოკერიასთვის მისი ადგილის შეთავაზებაზეა საუბარი. ამაზე ვაშაძემაც მიანიშნა. რამდენად რეალურია, რომ მოვლენები ასე განვითარდეს?***

– მიხეილ სააკაშვილი არის უკრაინაში, ის საქართველოს მოქალაქე არ არის და როგორ შეიძლება, მისი ადგილი გიგა ბოკერიამ დაიკავოს, მაშინ როდესაც პარტიის თავმჯდომარე არის დავით ბაქრაძე. პარტიის ლიდერი კი – მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ ვერაფერს გეტყვით იმაზე, თუ რა ელანდება ვაშაძეს.

# რამაზ საყვარელიძე: „ვაშაძეს პოლიტიკაში შანსი აქვს“

## „ნაციონალებს ის არ უნდა დაეკარგათ“

ნონა ცაბაძე

**ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე აფასებს.**

***– ბატონო რამაზ, ნაციონალები დაიშალნენ თუ გაიშალნენ?***

– მეეჭვება, რომ გაშლა მომგებიანი სტრატეგია იყოს ნაციონალებისთვის. გამორიცხული არაა, რომ ახლა ეს სქემა ჰქონდეს „ოცნებას“. ნაციონალებს ზოგადად გაუჭირდებათ 15-20%-ზე მეტის მოგროვება, ამიტომ მათთვის გაშლის სტრატეგია არ უნდა იყოს მომგებიანი. თავი იჩინა ნაციონალების ზედა ეშელონის არაელასტიურობამ, მოუხეშაობამ.

შიდა პოლიტიკურ ურთიერთობებში, როგორც ჩანს, ძალადობის ის პრინციპი, რაც სხვებთან ურთიერთობებში ჰქონდათ, შიგნითაც იყო. ზოგი იტანს ამ ტიპის პოლიტიკურ ძალადობას და ზოგი ვერ იტანს. ეს უნდა გაზომოს პოლიტიკურმა ელიტამ, ვისთან როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს, თუ უნდა, რომ შეინარჩუნოს ეს ადამიანები. მე მგონი, უნდა უნდოდეს, რადგან არც გირჩის ფიგურები და არც ვაშაძე არ არის უცხო ხილი საზოგადოებისთვის.

***– ვაშაძის წამოსვლით ნაციონალურმა მოძრაობამ ბევრი დაკარგა?***

– დღეს ყველა პარტია ნადირობს ცნობად სახეებზე და მინიმუმ ცნობადი სახე დაკარგა ნაციონალურმა მოძრაობამ. ეს სწორედ ნაციონალური მოძრაობის ელიტის აგრესიული, უხეში და დაუფიქრებელი პოლიტიკის შედეგია, რაც სააკაშვილის განცხადებაში გამოჩნდა კიდეც.

***– ვაშაძის ყოფილმა თანაგუნდელებმა სულ სხვა ვერსიაზე ისაუბრეს, რომ ის ვერ მოხვდა პირველ ათეულში და ამან გაანაწყენა. ამას კატეგორიულად უარყოფს თავად ვაშაძე. ენდობით ამ ვერსიას?***

– შეიძლება მიზეზი უფრო აბსტრაქტული იყოს. თუ ვერ მოხვდა ათეულში ვაშაძე, მაგას უნდა მიხვედრილიყო ხელმძღვანელი ჯგუფი, რომ ვაშაძე ჰყოლოდა ათეულში. ის რომ ათეულში ვერ მოხვდა, ეს არ არის ვაშაძის მინუსი, ეს ნაციონალების მინუსია.

***– არ იყო დასაკარგი ფიგურა?***

– ვაშაძეს ჩემი ორიენტაციის ადამიანი ბევრ რამეში არ დაეთანხმება, მაგრამ ის, რომ აქტიური ფიგურაა და თავის პოზიციას აქტიურად იცავს და კონფორმული არ არის სიტუაციის მიმართ, ეს პოლიტიკური გუნდისთვის მომგებიანია. მებრძოლი ფიგურის დაკარგვა წამგებიანია. აქვე იმასაც დავამატებ, რომ ვაშაძემ ყველა იმ ნაბიჯს, იმ პროცესს მოაწერა ხელი, რასაც სული ჩაუდგა ნაციონალურმა მოძრაობამ, ისე რომ, ვაშაძე პასუხისმგებელი არის იმ ხარვეზებზე, რაც ნაციონალებს ჰქონდათ. ეს სასურველია, რომ ყოველთვის იყოს წინ წამოწეული, რომ პოლიტიკოსებს არ ჰქონდეთ თავიანთი ბიოგრაფიის ადვილად განახლების ილუზია.




***– ბევრს საუბრობდნენ ვაშაძის და სააკაშვილის კარგ ურთიერთობებზე, თუმცა ყველამ ვნახეთ მიშას პოზიცია, წამით არ დაფიქრებულა, ისე გადაუსვა ხაზი.***

– დიახ და გამოაცხადა გამყიდველად, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ეს, იმედია, დანარჩენებისთვისაც მაგალითი იქნება, რომ ამ გუნდში დანდობა არ იციან და არც ერთგულების დაფასება. შეიძლება გუნდმა იცის, მაგრამ სააკაშვილმა არ იცის.

***– ვაშაძემ იმაზეც ისაუბრა, რომ ნაციონალების ამ გუნდს თავად სააკაშვილის ჩამოცილებაც უნდოდა.***

– დიახ, არის ეგ ვერსია, მაგრამ სააკაშვილის ჩამოცილების მსურველი გუნდი, ამავე დროს, სააკაშვილის ნების გამომხატველად გვევლინება დღეს, ცოტა გაუგებარი სიტუაციაა. მე არ გამოვრიცხავ, რომ შიგნით იყო საუბარი იმაზე, რომ სააკაშვილი ამ პარტიისთვის მძიმე ფიგურაა, მაგრამ თუ წევრები ისეთივე სტილს გააგრძელებენ, რაც სააკაშვილს ჰქონდა, რა განსხვავებაა, სააკაშვილი იქნება თუ არა.

***– რა შანსები აქვს ცნობადი სახეების გარეშე დარჩენილ ნაციონალურ მოძრაობას?***

– ნაციონალური მოძრაობა ისევე, როგორც „ქართული ოცნება“, ამბობს, რომ სიები სავსე იქნება ახალი სახეებით. ახალი სახეები ღიმილის მომგვრელი განცხადებაა ორივეს მხრიდან.

***– რა არის მასში ღიმილის მომგვრელი?***

– ის, რომ თუ ახალ სახეს რეიტინგი არა აქვს, მარტო სახის სიახლე არჩევნებისთვის არაფრის მომცემი არ იქნება. დარჩენილ დროში კი ახალი სახე ვერ მოასწრებს, რომ რეიტინგი მიიღოს, რაც უნდა ნიჭიერი და კარგი პოლიტიკური პოტენციალის მქონე ფიგურა იყოს. ამიტომ ახალ სახეებზე ორიენტაცია წამგებიანი იქნება.

***– ვაშაძე აცხადებს, რომ ახალ პოლიტიკურ ძალას ქმნის. რა შანსები აქვთ ასეთ ახალ-ახალ მოძრაობებს?***

– გააჩნია, რას დაარქმევს. თუ წიწვი დაარქვა, შეიძლება ალიანსში აღმოჩნდეს გირჩთან. ხუმრობა იქით იყოს და ვაშაძეს შეიძლება უფრო ჰქონდეს შანსი, ვიდრე სხვა ფიგურებს, თუნდაც იგივე გირჩს. ის უფრო ენერგიულია, ვიდრე გირჩი. ხოლო პოლიტიკაში ენერგიას დიდი შანსი აქვს. ვაშაძე ორიენტაციის აღებას აპირებს ახალგაზრდებზე. ეს ნიშნავს, რომ ის ეცდება ახალგაზრდების ხმების მიზიდვას. ეს ნიშნავს, რომ ის თავის გუნდს აკრეფს ახალგაზრდული ლიდერებიდან.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაცმოძრაობაზე კონტროლი გიგა ბოკერიამ დაამყარა“

## ლადო სადღობელაშვილი: „ვაშაძე ადეიშვილი-სააკაშვილის დაპირისპირებას შეეწირა“

შორენა მარსაგიშვილი

**როდიდან დაიწყო ნაცმოძრაობაში განხეთქილება, ვინ მფარველობდა გიორგი ვაშაძეს, სად გადაბარგდებიან ნაცმოძრაობიდან გაქცეულები? – ამ თემებზე „ახალ თაობას" არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის" ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.**



**„პორტირებული ნაცების მფარველი ანგელოზი კახა კალაძე“**



**ლადო სადღობელაშვილი:**

– ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ მე ვარ პირველი, ვინც ნაციონალებიდან გიორგი ვაშაძის წასვლის შესახებ განცხადება გააკეთა. ამ განხეთქილებაზე 2014 წელს დავიწყე საუბარი. მათ შორის დაპირისპირების მიზეზი თვითმმართველობის არჩევნები გახლდათ.

ერთ მშვენიერ დღეს ვაშაძეს გაუჩნდა ამბიცია, რომ თბილისის ,მერის პოსტზე უნდა ეყარა კენჭი.

ნაციონალური მოძრაობა რამდენიმე გუნდად არის დაყოფილი. ვაშაძე ადეიშვილის კლანის წარმომადგენელი იყო. ის რაღაც დროის მანძილზე ადეიშვილის მოადგილედ მუშაობდა. ნაციონალებმა ვაშაძე, როგორც ინოვატორი ლიდერი, ისე წარმოაჩინეს. ამან მას ამბიციები გაუჩინა და როგორც უკვე გითხარით, მერობაც მოინდომა.

მისი ამბიციები პარტიაში სხვა ლიდერების გაღიზიანებას იწვევდა. ამ ამბიციების გამო ვაშაძე არაერთხელ „გაიტისკა“. ამის მიუხედავად, მას პარტიაში გავლენა მაინც ჰქონდა. შექმნილი ჰქონდა და დღესაც აქვს ახალგაზრდობის ჯგუფი, რომლებიც, სხვა ნაციონალებისგან განსხვავებით, აგრესიულები არ არიან. ამ ჯგუფს ვაშაძის ახალგაზრდებს უწოდებენ. ამ ბავშვებზე თავის დროზე გოკა გაბაშვილიც საუბრობდა. საუბარია იმ აუდიო-ჩანაწერზე, რომელიც რამდენიმე თვის წინ გავრცელდა. უზრდელმა გაბაშვილმა ახალგაზრდები უცენზურო სიტყვებით მოიხსენია. მაშინაც ეტყობოდათ, რომ ძალიან დაძაბულები იყვნენ.

***– თუმცა მაშინ თქვეს, რომ ეს პრობლემა მოაგვარეს და ყველაფერი თავიდან დაიწყეს.***

– როგორც მოაგვარეს ეს პრობლემა, რამდენიმე დღის წინ გამოჩნდა. სიის ფორმირების პროცესში მათმა ერთ-ერთმა ლიდერმა პარტია დატოვა. ნაციონალებს მისთვის მიცემული პირობა რომ შეესრულებინათ, ეს არ მოხდებოდა.

***– რა პირობაზე საუბრობთ?***

– როდესაც მერის პოსტზე ნიკა მელია წარადგინეს, ვაშაძე ძალიან გაბრაზდა. ის პარტიიდან წასვლას აპირებდა. ნაციონალები დაპირდნენ, რომ 2016 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო სიის ათეულში ჩასვამდნენ. ეს პირობა არ შესრულდა და ნოვატორი ლიდერიც წავიდა.

***– თქვენ ამბობთ, დაპირება არ შეუსრულესო, ნაციონალების მტკიცებით კი, ვაშაძის წასვლა ბიძინა ივანიშვილის გეგმის ნაწილია.***

– ამ ამბავში ბიძინა ივანიშვილი არაფერ შუაში არ არის. რამდენიმე ლიდერს რომ დაეტოვებინა პარტია, მაშინ მეც გამიჩნდებოდა ეჭვი. ახლა კი ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ ვაშაძე ათეულში არ ჩაწერეს. მისი ათეულის მიღმა დარჩენაც ძალიან საინტერესო ამბავია.

ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე, უკრაინულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ადეიშვილმა ოდესა დატოვა. იქაური მედიის ცნობით, მას სააკაშვილთან დაეძაბა ურთიერთობები. ცოტა ხანში კი პარტიაში მისი კადრი – ვაშაძე „გაიტისკა“. მფარველი ანგელოზის გარეშე დარჩენილი არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებს. ეს ახალგაზრდა იმდენად ამბიციურია, რომ გაიძახის, ჩემი მოძრაობა უნდა ჩამოვაყალიბოო.

***– ამ მოძრაობას იმ ახალგაზრდებთან ერთად შექმნის, რომლებიც ზემოთ ახსენეთ?***

– ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციით, ის უფრო ალასანიასკენ წავა. ვაშაძე თავისუფალ დემოკრატებთან გადაბარგებას 2 წლის წინაც გეგმავდა, მაგრამ მაშინ შეაჩერეს. ახლა წავიდა და უფრო მარტივად შეძლებს ალასანიასთან ერთად საარჩევნო ბლოკის შექმნას.

***– ალასანიას რაში სჭირდება ვაშაძე?***

– საქმეც ის გახლავთ, რომ სჭირდება. ენდიაის და აირაის კი უნდათ, რომ ალასანია მესამე ძალად წამოგვიჭიმონ, მაგრამ ასე მარტივად არ არის საქმე. თავისუფალ დემოკრატებს კადრების მწვავე დეფიციტი აქვთ. ამ დეფიციტის შევსებას გირჩებით, ციყვებით და ვაშაძეებით აპირებენ.

ალასანია დასავლეთის ერთ-ერთი პროექტია და ყველაფერს გააკეთებენ, რომ მისი პარტია ფეისებით გააძლიერონ. თავისუფალ დემოკრატებში მალე ბევრ გამოსწორებულ ნაციონალს ვიხილავთ. ეს სამუშაო სერიოზულ ფაზაშია შესული და ახლა ბიძინა ივანიშვილის მრჩევლებმა განსაკუთრებულად უნდა იმუშაონ.

***– რა მიმართულებით უნდა იმუშაონ?***

– არჩევნებში საგრძნობი გამარჯვება თუ სურთ, ასეთი ბლოკების შექმნა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან.

***– ხელი როგორ უნდა შეუშალონ?***

– საამისოდ უამრავი კანონიერი გზა არსებობს, მოიფიქრონ რამე. ვისაც მართლა უნდა, რომ არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ მოიგოს, ის ასეთი ბლოკების შექმნას არ დაუშვებს. დამიჯერეთ, ასეთი ბლოკები არჩევნებზე მმართველ პარტიას უსიამოვნო სიურპრიზებს შესთავაზებს.

დიდი ფინანსები თუ ჩაერია, ეს ბლოკები არ შეიქმნება. ხოლო თუ ყველამ ფეხზე დაიკიდა საქართველოს მომავალი, არ გამოვრიცხავ, რომ გარდაქმნილი ნაციონალები ხელისუფლების სათავეში მოევლინონ ქვეყანას.

***– რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი ვარაუდობს, რომ ნაცმოძრაობას კიდევ 3 ლიდერი – გიორგი კანდელაკი, ჩიორა თაქთაქიშვილი და აკო მინაშვილი დატოვებს. ამაზე რა ინფორმაცია გაქვთ?***

– ლევან ბერძენიშვილი ისეთ სიბინძურეებს ხლართავს, რომ რამსები აერია. მის მიერ დასახელებული პირები ნაციონალურ მოძრაობას არავითარ შემთხვევაში არ დატოვებენ. შეიძლება რაღაცაზე განაწყენდნენ, მაგრამ არ წამოვლენ.

***– რატომ ხართ ასეთი დარწმუნებული, რომ არ წამოვლენ?***

– ამაში მათი წარსული და აღმზრდელი მარწმუნებს. მინაშვილი, ჩიორაც და კანდელაკიც არიან კმარაგამოვლილი ხალხი ანუ გიგა ბოკერიას აღსაზრდელები. ერთი პერიოდი ბოკერია ჩააჩოჩეს, ახლა პარტიაში მას მიჰყავს პარადი და ეს გიორგი ვაშაძემაც დაადასტურა.

დღეს პარტიაში სააკაშვილის შემდეგ ყველაზე დიდი გავლენით სწორედ უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი სარგებლობს და არა მგონია, რომ მას მისმა გაზრდილებმა უღალატონ.

ვერც კი წარმომიდგენია, როგორ უღალატებს კანდელაკი თავის გამზრდელს, ეს ბიჭი პარლამენტში გიგა ბოკერიას რუპორია. კანდელაკს რომ ვუყურებ ხოლმე, გული მისკდება, ისე ბაძავს ბოკერიას, ინტონაციაც კი მისი აქვს აღებული.

***– ზემოთ „ქართული ოცნება“ ახსენეთ და მათ ახალი ბლოკების ჩაშლისკენ მოუწოდეთ. ერთ კვირაში იმართება მათი ყრილობა და იქაც დიდ განხეთქილებებს ვარაუდობენ, შეძლებენ ესენი ვინმესთვის ხელის შეშლას? თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ამასთან დაკავშირებით?***

– არ ჩაშლიან ბლოკების შექმნას და თავის თავს დააბრალონ. საარჩევნო სიის ფორმირებას „ქართულ ოცნებაშიც“ მოჰყვება დაპირისპირება, მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდება. 14 მაისს, პარტიის ყრილობაზე, საარჩევნო სიას არავინ წარმოადგენს. „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, არჩევნებამდე 40 დღით ადრე გამოქვეყნდება, რაც კონკურენტებისთვის საკმაოდ სერიოზული სიურპრიზი იქნება.

14 მაისს პარტიის თავმჯდომარის არჩევა იქნება და საორგანიზაციო საკითხებს გადაწყვეტენ მხოლოდ. ამ ყრილობაზე ერთადერთი რამე შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი – რომელიმე მინისტრს შესაძლოა თანამდებობის დატოვება მოუწიოს. რომელიმე მათგანი თუ დასახელდა საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად, მას თანამდებობის დატოვება შეიძლება მოუწიოს. ვიმედოვნებ, რომ ეს იქნება კახა კალაძე.

***– ასეთი მაგარია კალაძე არჩევნებში?***

– არჩევნებში კი არ არის მაგარი, საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად დანიშვნა მისთვის იქნება დაქვეითება.

***– მისი ასე დაქვეითება ასეთი მნიშვნელოვანია?***

– მნიშვნელოვანი როგორ არ არის, გადაჭამა ამ კაცმა მთელი ქვეყანა. ფულის ამოღების გარდა, მან ნაციონალების მფარველი ანგელოზის მისიაც იკისრა.

***– რას ნიშნავს, ნაციონალების მფარველის მისია აკისრია?***

– იმას ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ მაგან გაავსო ნაციონალებით. მისი წარდგინებით მოხვდნენ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები მმართველ გუნდში. ასეთი სამარცხვინო კაცი არ უნდა იყოს ამ პარტიის ლიდერი. ახლა მათი გადასაწყვეტია. რაც უნდა ის უქნიათ, მათი ბედი არც მაინტერესებს.

***– არ მაინტერესებსო და ცოტა ხნის წინ მათ არ უჭერდით მხარს?***

– „ქართულ ოცნებას“ მაშინ ვუჭერდი მხარს, როდესაც ისინი ნაციონალებს მართლა ებრძოდნენ.

***– ეს ხდებოდა ოდესმე? მოვიდნენ თუ არა ხელისუფლებაში, ეგრევე კოაბიტაციურ რეჟიმზე გადავიდნენ.***

– ნაციონალებს მაშინ გამოუცხადეს ომი, როცა პრემიერი იყო ირაკლი ღარიბაშვილი. ამ ადამიანს მართლა სურდა სამართლიანობის აღდგენა და დამნაშავეების დასჯა.

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერი არ ვარ, მაგრამ ამ პარტიას ერთი რამე უნდა ვურჩიო – სასწრაფოდ დააბრუნონ ირაკლი ღარიბაშვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ რაიმე სერიოზული შედეგის მიღწევა გაუჭირდებათ.

***– პარტიაში მიაჩნიათ, რომ ღარიბაშვილის გარეშეც შეუძლიათ წარმატების მიღწევა.***

– ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის პერიოდში ნაციონალების რეიტინგი მკვეთრად დავარდა. მისი წასვლის შემდეგ კი „ქართული ოცნების“ რეიტინგი დავარდა. ჩემი თუ არ გჯერათ, აირაის და ენდიაის კვლევებს გადახედეთ.

***– ბევრი ამ კვლევებს არ ენდობა, თქვენ ენდობით?***

– არც მე ვენდობი, მაგრამ ტენდენცია სახეზეა. მათი კვლევების გარეშეც ნათელია, რომ ღარიბაშვილის წასვლის შემდეგ „ქართული ოცნების“ რეიტინგი მკვეთრად დავარდა. ყოფილმა პრემიერმა ნაციონალებს სტრატეგიაც კი შეაცვლევინა.

ყოფილი ხელისუფლება კარგად მიხვდა, რომ მას რეიტინგი ირაკლი ღარიბაშვილმა დაუგდო. ამის შემდეგ ისინი შეეშვნენ საკუთარი რეიტინგის მატებაზე ფიქრს და „ქართულ ოცნებას“ დაუგდეს რეიტინგი. ღარიბაშვილი რომ არ წასულიყო, „ოცნების“ რეიტინგი ასე არ დავარდებოდა.

ორივე პარტია ერთმანეთს ძალიან დაემსგავსა. „ქართული ოცნება“ და ნაციონალები ერთმანეთს ასულიერებენ და სატოპკეებსაც უწევენ. ეს ამბავი კარგად არ დასრულდება.

# პეტრე მამრაძე: „ნაციონალების სია ნამდვილი ანეკდოტია“

## „ციხის კადრების გამოქვეყნების შემდეგ სააკაშვილს ახალაიები უნდა დაეპატიმრებინა და პრემიერი მერაბიშვილი მოეხსნა“

გულიკო ბალაძე



პარლამენტის წევრი პეტრე მამრაძე აცხადებს, რომ ნაცმოძრაობაში მიმდინარე დაშლის პროცესი გაგრძელდება. არც ერთად აღებულნი და არც დაშლილ მდგომარეობაში, ცალცალკე პარტიების სახით, ნაციონალები არჩევნებში რეალურ საშიშროებას არ წარმოადგენენ,

***– ბატონო პეტრე, როგორ უყურებთ ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებს? არჩევნებამდე კონსოლიდირებულად მისვლას შეძლებენ? წინ რა პროცესები გველოდება?***

***– ნაცმოძრაობის დაშლის პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ 2012 წელს. ჩვენ გვახსოვს გადაჯგუფებები პარლამენტში.***

– თუმცა, დღემდე გვაჩვენებენ თავს, თითქოს შეკრული პარტიაა და ასე ერთიანად, ხელისუფლებაში დაბრუნებას კვლავ შეძლებენ.

– ისინი ყოველთვის ამას იტყვიან. ნაწილობრივ კი სიმართლეს შეესაბამება. კერძოდ, ჩვენ გვახსოვს იგივე მარიკა ვერულაშვილის გასვლა შესაბამისი განცხადებით, რომ ვანო მერაბიშვილისნაირი ადამიანების გვერდით დგომა სირცხვილია.

გვახსოვს გირჩის შექმნა, რომელთა შორის არიან ცნობილი სახეები კუბლაშვილი, ჯაფარიძე, ხაჩიძე. ისინი გავიდნენ შესაბამისი განცხადებით. ორი დღის წინ ნაცები ვაშაძემ დატოვა, განაცხადა, რომ შეიქმნა კაბინეტური მმართველობა, გვარები ჩამოთვალა – ბოკერია, გოგორიშვილი, მაჭავარიანი და ფასადად ქცეული და-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თამარ ჩხეიძე: „გაუგებარია, რატომ მოდის პოლიტიკაში პაატა ბურჭულაძე“

## „გიორგი ვაშაძის წასვლა პარტიისათვის დიდი დანაკლისია“

მარიამ მჭედლიშვილი

**ახალი მოძრაობის შექმნა დაანონსა ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ყოფილმა ლიდერმა გიორგი ვაშაძემ. საარჩევნო პროცესებში მოსალოდნელი ჩართვის შესახებ განცხადებები გააკეთეს ჯერჯერობით არაპოლიტიკოსმა საზოგადო მოღვაწემ პაატა ბურჭულაძემ, ასევე პოლიტიკოსმა და ყოფილმა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ვარაუდობს, რომ მათი გამოჩენა არსებით ცვლილებებს ვერ გამოიწვევს. სიტუაციაში გარდატეხა შეიძლება გაუთვალისწინებელ მოვლენებს მოჰყვეს.**



**თამარ ჩხეიძე:**

— გიორგი ვაშაძის წასვლა ნაციონალური მოძრაობიდან პარტიისათვის დიდი დანაკლისია. ესაა ახალგაზრდა პოლიტიკოსი, რომელმაც ბევრის გაკეთება მოახერხა. ეფექტურად მომუშავე იუსტიციის სახლები მისი შექმნილია. მისი ეს ნაბიჯი მეწყინა.

***— რა შეიძლება იყოს ამის ნამდვილი მიზეზი?***

— შესაძლოა, ამაზე ხელისუფლებამაც იმუშავა. ისიც არაა გამორიცხული, რომ იგი პარტიაში სათანადოდ არ დააფასეს და საარჩევნო სიაშიც შეუქმნეს პრობლემები. დიდი ხანია ვრცელდებოდა ინფორმაცია ნაცმოძრაობაში არსებული დაპირისპირების შესახებ.

***— გიორგი ვაშაძე პოლიტიკურ მოძრაობას ქმნის.***

— მიუხედავად იმისა, რომ ვაშაძე ნიჭიერი ადამიანი და პოლიტიკოსია, მის მოძრაობას ძალიან გაუჭირდება საარჩევნო ბარიერის გადალახვა. კულუარებში რა მოხდება, არ ვიცი, მაგრამ მას პარლამენტში მოხვედრის შანსი არ აქვს. ვაშაძის გამოყოფა ვერ იმოქმედებს სავარაუდო შედეგებზე არჩევნებში. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მას არ შეუძლია რადიკალური გავლენის მოხდენა სიტუაციაზე.

***— პაატა ბურჭულაძეს?***

— სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, რატომ მოდის პოლიტიკაში პაატა ბურჭულაძე, ვინ უწყობს ამას ხელს და ვინ დგას მის უკან. არსებულ ვითარებას ვერც ის გარდატეხს.

***— არჩევნებში ერთვება სალომე ზურაბიშვილიც.***

### „სალომე ზურაბიშვილის ზოგიერთი განცხადება პროდასავლურის შთაბეჭდილებას არ ტოვებს“

— სალომე ზურაბიშვილს პირველად ჯერ კიდევ კომუნისტების დროს შევხვდი. აქტიურ პოლიტიკაში ის ბოლო წლებში ჩაერთო. მისი ბევრი განცხადება გაუგებარია, მაგალითად, 2008 წლის ომთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ეს განცხადებები არ ჰგავს პროდასავლელი დემოკრატი პოლიტიკოსის ხედვებს. მისი გამოჩენაც არაფერს შეცვლის.

***— აირაის კვლევაში პაატა ბურჭულაძე პოლიტიკურ რეიტინგებში ლიდერობს.***

— ესეც გაუგებარია. ის პოლიტიკაში ჯერ არ შემოსულა. შესაძლოა, ადამიანები, რომლებსაც არც „ქართული ოცნება“ უნდათ და არც ნაციონალური მოძრაობა, მესამე ძალის მოლოდინში არიან, იმედს ბურჭულაძეზე ამყარებენ და ეს მხარდაჭერა ამის მაჩვენებელია. პირადად ჩემთვის ბურჭულაძის ფენომენი აუხსნელია. როცა ივანიშვილი მოდიოდა პოლიტიკაში, ყველაფერი ნათელი იყო. გასაგები იყო მისი მიზნებიც და ისიც, ვინ იდგა მის უკან. ივანიშვილის რუსეთთან კავშირი ცხადია. ამ შემთხვევაში არაფერი გარკვეული არ არის.

***— არ არის გამორიცხული, საარჩევნო ბლოკი შექმნან იმ პარტიებმა, რომლებიც ადრე საარჩევნო საკითხებზე თანამშრომლობდნენ, ახლა კი საკოორდინაციო საბჭოში გაერთიანდნენ.***

— ეს გაუმართლებელია, იმიტომ რომ პროდასავლური პარტიები ერთიანდებიან ისეთ პრორუსულ ძალასთან, როგორიცაა პატრიოტთა ალიანსი.

***— თავად პატრიოტთა ალიანსი უარყოფს პრორუსულობას.***

— შეიძლება ამ ძალის პრორუსულობა არ გამოიხატოს პარტიის ოფიციალურ განცხადებებში, მაგრამ ეს ორიენტაცია იკვეთება იმ ტელევიზიის მიმართულებებსა და მთავარ ნაკადში, რომელიც ამ პარტიასთან ასოცირდება. მოწვეული სტუმარი შეიძლება სხვადასხვა შეხედულების იყოს, მაგრამ მე ვსაუბრობ მთლიანად ამ ტელევიზიის მიმართულებაზე.

როცა ეს ტელევიზია შეიქმნა, მაშინ მის ეთერში ხშირად იყვნენ ანტირუსულად და ეროვნულად განწყობილი ადამიანები. ახლა ასეთი ადამიანები თითქმის აღარ არიან. პარტიებმა შეიძლება ბევრ საკითხზე ითანამშრომლონ, მაგრამ როცა რუსეთი მტერია, პრორუსულ ძალასთან თანამშრომლობა არცერთ თემაზე არ შეიძლება. თუ საკოორდინაციო საბჭოს პარტიები საარჩევნო ბლოკს შექმნიან, ისინი არჩევნებზე წარმატებას ვერ მიაღწევენ.

***— ანუ მთავარი მოთამაშე ისევ ორი ძალაა?***

— ჯერჯერობით ასეა. სიტუაციის გარდატეხა მხოლოდ გაუთვალისწინებელ მოვლენებს შეუძლია. „ქართულ ოცნებასაც“ და ნაციონალურ მოძრაობასაც არ გააჩნიათ დიდი მხარდაჭერა, მაგრამ ისინი სხვებზე ქმედებაუნარიანნი არიან. „ოცნებას“ სახელისუფლებო ბერკეტებიც აქვს. ამ ბერკეტებს ის გამოიყენებს, იმიტომ რომ ძალიან დაუვარდა რეიტინგი. გამოჟონა ინფორმაციამ, რომ დაბალი რეიტინგი „ოცნების“ შიდა კვლევებმაც დაადასტურა.

***— ჩამოუყალიბებელი ამომრჩეველი თუ ჩამოყალიბდება?***

— ამ ადამიანების უმეტესობა გააკეთებს არჩევანს. პარტიებს მათი მოზიდვა შეუძლიათ.

# პეტრე მამრაძე: „ნაციონალების სია ნამდვილი ანეკდოტია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ვით ბაქრაძე.

მიუხედავად ამისა, არასწორია ფიქრი იმაზე, რომ მთლიანად დაიშლებიან, პარტია აღარ იარსებებს და არ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას.

***— ზოგი ფიქრობს, რომ ნაცების დაშლა და გაშლა პოლიტიკურ სპექტრში, მათი მრავალ სუბიექტად წარმოდგენა საშიშ ვითარებას შექმნის პოლიტიკურ ბაზარზე.***

— არც ერთად აღებულნი და არც დაშლილ მდგომარეობაში, ცალცალკე პარტიების სახით არჩევნებში რეალურ საშიშროებას არ წარმოადგენენ, ვინაიდან მათ არ შეემატებათ ახალი სახეები. მათ მოუწევთ დანაწევრება, რაც ძალიან წამგებიანია. წარმოუდგენელია, ისეთმა სახემ, როგორიც არის ვაშაძე, შეიძინოს ახალი სახის სტატუსი და მოიპოვოს რაღაც პოპულარობა.

***— ამას ისინი ვერ აანალიზებენ?***

— ნაცმოძრაობაში პროცესები ყოველგვარ ანალიზს მიღმაა. კერძოდ, ბრძოლაა კარგი ადგილებისთვის. ნაცმოძრაობა არის დანაშაულებრივი დაჯგუფება, სადაც ადამიანები თავიდანვე შეკრულები იყვნენ ერთად ჩადენილი დანაშაულით — ძალადობით, ტყუილით და სიძულვილით.

***— ეშინიათ, თუ პარლამენტში ვერ მოხვდებიან, იმუნიტეტი აღარ ექნებათ და შეიძლება გისოსებს მიღმა მოხვდნენ?***

— მაშინ საქმე აქამდე იქნებოდა აღძრული. ვიცით, ქოცები როგორ გარიგებაზე წავიდნენ ნაცებთან. არსებითია ანდრო ბარნოვის განცხადება, რომელიც გახლდათ რწმუნებული. ეს შედარებით ახალგაზრდა კაცი, რომელიც არ იყო პარლამენტის წევრი, მაგრამ იყო აქტიური ნაცმოძრაობაში, გახდა საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, პირდაპირ დაწერა, რომ მოიარა მთელი საქართველო, იბრძოლა (მავთულხლართებთან მიდიოდა) და შეეჯახა კედელს. რას ნიშნავს ეს? იმ კაბინეტური მმართველობის ბირთვს, სადაც ყოფილი ჟვანიას გუნდი დომინირებს.

***— დიახ, მეც მივაქციე ყურადღება***

— მათ სადავეების ხელიდან გაშვება არ უნდათ. ეს ნიშნავს ნაცმოძრაობის საბოლოოდ ჩაძირვას არჩევნებზე. აბა, წარმოიდგინეთ, როცა ქართველმა ხალხმა იცის, რომ ისევ ბოკერია, ისევ გოგორიშვილი, ისევ მიშა მაჭავარიანი, ისევ გოკა გაბაშვილი განაგებენ ყველაფერს, რომლებიც ხალხმა შეიძულა. „ოცნების“ რეიტინგი ძალიან დაეცა, მაგრამ მათი სიძულვილის გამო, ხმების გადადინება ნაცების მხარეს არ ხდება.

***— ანუ ცალ-ცალკე უფრო ჩაიძირებიან თუ ერთად?***

— ერთადაც და ისედაც. ესენი ამბობენ, ვაშაძე წავიდა იმის გამო, რომ სხვებმა თავისი ნებით უარი თქვეს პირველ ათეულში ყოფნაზე იმის გამო, რომ საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები მოვიდნენ, ახალი სისხლი. ამ ფონზე ვაშაძემ თქვა, მეც უნდა ვიყო იმ ახალ სისხლშიო. დანარჩენები კი ისეთი თავდადებული ადამიანები არიან, თავის თავს არ ზოგავენ. გეკითხებით, ვინ არიან ის ახალგაზრდები, ახალი სახეები, საზოგადოებისთვის ცნობილი, რომლებიც დათანხმდებიან ნაცების სიის პირველ ათეულში ყოფნას.

***— მართლაც საინტერესოა, ვინ არიან ის პირები, რომლებიც თავის თავზე აიღებენ ნაცმოძრაობის ტვირთს?***

— პოზიტიური გაგებით ასეთი სახეები არ არსებობს. სულ მალე გამოაცხადებენ მათ ვინაობას და იქნება ნამდვილი ანეკდოტი.

***— ანუ თქვენ ნაცების სიაში წონიან ფიგურებს არ ელოდებით?***

— წონიან ფიგურებს ნამდვილად არ ველოდები, გამორიცხულია. ვიღაცები, ფასადური ბაქრაძის ჩათვლით, შეიძლება ჩასვან.

***— ვინ შეიძლება დათანხმდეს ნაცებთან მისვლას?***

— მათი სია პრესაში ვრცელდება პირდაპირ ნომრებით — დავით ბაქრაძე, რომან გოცირიძე, გიორგი ქადაგიძე, ელენე ხოშტარია, სალომე სამადაშვილი, გიორგი კანდელაკი, ზაზა ბიბილაშვილი, ნიკა მელია, ირაკლი აბესაძე და ოთო კახიძე.

***— ესენი ხომ კარგად შესწავლილი და ნაცნობი სახეებია. რა არის მათში ახალი?***

— მათში ახალი არის მხოლოდ ის, რომ პარტიულ ელიტაში არ მოიაზრებოდნენ. მაგალითად, რომან გოცირიძე ცნობილი იყო, როგორც ფინანსისტი და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.

***— რომან გოცირიძე ხომ ყოველთვის ასოცირდებოდა ნაცმოძრაობასთან, პარლამენტში საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ის კიდევ ბევრ პროცესთან იგივდება, რომლებიც დადებითად ნამდვილად არ აღიქმება.***

— ამას გეუბნებით. მათ თუ ჰგონიათ, რომ ეს გვარები ხალხში პოპულარულია, ნაცმოძრაობის იმ ტვირთს არ ინაწილებენ და მათზე არ გადადის ის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომელიც სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის რეჟიმს აქვს, ძალიან ცდებიან.

გიორგი ქადაგიძე, ელენე ხოშტარია, გიორგი კანდელაკი, რომელსაც ლუკაშენკოს ხელისუფლების დასამხობად უშვებდა სააკაშვილი. ნიკა მელიას სახე ახალი და პოზიტიურია? ამიტომ ეს იქნება პოლიტიკური ანეკდოტი.

***— ქადაგიძის როლიც ხომ აშკარად გამოჩნდა, თუნდაც ლარის კურსის ვარდნასთან დაკავშირებით, რომელმაც მისი წასვლის შემდეგ მკვეთრი დასტაბილურება დაიწყო. რატომ უნდა მისცეს ხალხმა ხმა კონკრეტულად ქადაგიძეს?***

— ქადაგიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტად შერჩეული იყო ადეიშვილის მიერ პროკურატურის წიაღიდან. სრულიად ახალგაზრდა კაცს ისეთი სახელი ჰქონდა, რომ სააკაშვილადეიშვილ-მერაბიშვილის დავალებით ბანკებს უკანონოდ აკოტრებდა. ამ საკითხში რომ გამოიჩინა თავი, დასვეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად. ის გახდა ყველაზე ახალგაზრდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მსოფლიოს ისტორიაში. მახსოვს, უცხოელები გიჟდებოდნენ, 29 წლის ბიჭი ეროვნული ბანკის პრეზიდენტად აირჩიეთო?!

***— სამწუხაროდ, ჩვენთან ყველაფერი შესაძლებელია.***

— არ ვფიქრობ, რომ პრესაში გამოჩენილი სია მაინცდამაინც ასე დარჩება, შეიძლება ზოგიერთი შევიდეს, ზოგიერთი არა, მაგრამ დონე, მიდგომა იგივეა, ანუ ეს არის სრულიად უიმედო ავანტიურა, აფიორა ნაცმოძრაობისა, როცა აცხადებს, რომ თურმე ახალ, პოლიტიკურად გაუსვრელ, ხალხში პოპულარულ სახეებს წარმოადგენს.

***— ის პროცესი, რაც მიდის ნაცმოძრაობაში, სააკაშვილის გარეშე მიმდინარეობს თუ იქ რაღაც ქვედინებები არსებობს და პროცესებს სააკაშვილი მართავს?***

— სააკაშვილი პროცესში მონაწილეობს. ამას ღიად ამბობენ, სკაიპით გვიკავშირდებაო. სხვა საქმეა, რამდენად აქვს სააკაშვილს დღეს წონა და გავლენა.

***— სააკაშვილს ნაცებში წონა და გავლენა აღარ აქვს?***

— სააკაშვილს გავლენა, რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ არის განხეთქილება. ეს პირდაპირ უთქვამთ ბოკერიას და სხვებს. მაგალითად, სააკაშვილმა რომ უთხრა გვარამიას, რკინის კონსტრუქციები ააშენე და რუსთავი 2 გადაფარეო. ბოევიკებზეც იყო საუბარი.

***— სისხლისღვრაზეც საუბრობდნენ.***

— ესენი ამბობენ, ჩვენ აქ დანის წვერზე დავდივართ, ნებისმიერ დღეს შეიძლება დაგვიჭირონ, შენ კი კიევში ხარ, უკრაინის მოქალაქე და იქიდან ასეთ დავალებებს რომ იძლევი, ასე არ შეიძლებაო. სააკაშვილი რეალობას მოწყვეტილია. იქვე იყო ბოკერიას კომენტარი, არავითარი კონსტრუქციები არ იქნებაო.

***— ასეთი განცხადებებით სააკაშვილი აქ მყოფ ნაციონალებს წირავს?***

— დიახ. სააკაშვილს ნამდვილად არ აქვს აქ გავლენა, მაგრამ ფული გატანილია. ფული სააკაშვილ-კეზერაშვილის ხელშია და დიდ როლს ასრულებს. ეს სააკაშვილმა თავისი წერილით დაადასტურა, როცა საფრანგეთის პრეზიდენტს მიმართა და სთხოვა, კეზერაშვილი გაეთავისუფლებინა, ვინაიდან ის არის ჩვენი პარტიის ყველაზე დიდი სპონსორიო.

ნაცებს მხარდამჭერთა რამდენი პროცენტიც ჰქონდათ, ის შერჩათ. მათი დაქსაქსვა არ მოიტანს კარგ შედეგს მათთვის. გამორიცხულია, ვაშაძემ გადალახოს 5%-იანი ბარიერი პარლამენტში შესასვლელად.

***— მაშინ რის იმედი აქვს?***

— ეს არის არაადეკვატურობა. თუ იმის გამო მიდის, რომ თავისი ღირსება დაამტკიცოს, ეს არ არის სერიოზული.

***— რატომ გაწირა ვაშაძე სააკაშვილმა?***

— სააკაშვილმა თავისი განცხადებით დაგმო ვაშაძის ქმედება. თან გვარებსაც არ ახსენებს. უბრალოდ ამბობს, რომ ყველაფერი ივანიშვილის ბრალია, რაც ძალიან კომიკურია. სააკაშვილმა, რატიანმა და სხვებმა დააბრალეს ივანიშვილს, თითქოს ფულით და თავისი გავლენებით ცალკეულ პიროვნებებზე ზეგავლენას ახდენს და შედეგად გარკვეული პიროვნებები გადიან ნაცმოძრაობიდან.

***— ზოგადად, ნაცმოძრაობამ მტრის ხატი შეიქმნა ივანიშვილის სახით.***

— აქეთ კიდევ ვაშაძემ განაცხადა, დახურული, კაბინეტური მმართველობა თავისი ბუნებით ივანიშვილს ემსახურებაო, ანუ ყველაფერი მაინც ივანიშვილს დააბრალეს, რომ ივანიშვილის ხრიკებია. ბოკერია, მაჭავარიანი, გოგორიშვილი, გაბაშვილი ემსახურებიან ივანიშვილს, უნდათ თუ არა, შეგნებულად თუ შეუგნებლად. ეს ასეც არის. ამ მხრივ, ვაშაძე მართალია.

***— რა საფუძველი აქვს?***

— საფუძველი ისაა, რომ ეს ადამიანები ჩაეჭიდნენ თავიანთ სტატუსებს და ამ წლების განმავლობაში არ მოინდომეს ჩაჩოჩება და თავის დროზე ადამიანებმა შეიძულეს ისინი. ყველამ მადლობა ვუთხრათ გოკა გაბაშვილს, ჩიორა თაქთაქიშვილს, აკაკი ბობოხიძეს, მიშა მაჭავარიანს, აკო მინაშვილს, ისინი თავისი გამოსვლებით ხალხმა შეიძულა.

დღესაც ამბობენ, აღარ შეგვიძლია მათი ატანა, რომ გამოდიანო. კარგ საქმეს აკეთებენ, ჩიორასაც მადლობა უნდა ვუთხრათ, აკოსაც, გოკასაც და სხვებსაც, რომ ახსენებენ მოსახლეობას, აგერ ვართ ყველანი, რა ბინძურებიც ვიყავით, ისევ დავრჩითო. მართლა რომ სდომებოდათ ნაცმოძრაობის გადარჩენა, ციხის კადრების გამოქვეყნებისთანავე უნდა ემოქმედათ.

***— ახალი სახეებიც რომ მისულიყვნენ, ნაცმოძრაობა, როგორც ბრენდი, ხომ დისკრედიტირებულია, რას უშველიდა ახალი სახეები, თან იმ ეტაპზე, როცა ციხის კადრები გამოქვეყნდა?***

— ძალიან ძნელი იქნებოდა, მაგრამ სწორი მოქმედება იქნებოდა, ციხის კადრების გამოქვეყნების შემდეგ, სააკაშვილს თავისი ბრძანებით ახალაიები რომ დაეპატიმრებინა, იმ დღესვე მოეხსნა პრემიერი მერაბიშვილი და დაეგმო.

# დავით უსუფაშვილი დავით ნარმანიას წინააღმდეგ

## ალეკო ელისაშვილი: „სპიკერმა მერის იმპიჩმენტზე ღიად მიუთითა“

შორენა მარსაგიშვილი

**დედაქალაქის მერი დავით ნარმანიას საქმეები კარგად აშკარად არ მიდის. მის წინააღმდეგ ახლა უკვე პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა გაილაშქრა. საკრებულოში ფიქრობენ, რომ ეს ნარმანიას იმპიჩმენტის დასაწყისია.**

ქალაქის თავის შესაძლო გაიმპიჩმენტებაზე საკრებულოში რამდენიმე დღის წინ ალაპარაკდნენ. 3 მაისს მერიაში გაიმართა აუქციონი, სადაც 29 ჰექტარი მიწა გასხვისდა. ეს მიწა ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ მდებარეობს. უფრო ადრე კი ცნობილი გახდა, რომ ბოტანიკური ბაღის კუთვნილი 4 ჰექტარი ბიძინა ივანიშვილს გადაეცა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამაზე ოპოზიციამ სკანდალი მოაწყო. დედაქალაქის მერი საკრებულოში დაიბარეს, ოპოზიცია კი იმპიჩმენტის პროცედურისთვის ემზადება.

მანამდე კი საკრებულოში ბოტანიკური ბაღის თემაზე რიგგარეშე სხდომის დანიშვნა სურთ, სადაც ნარმანიას მთელ რიგ კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა.

მართალია, ნარმანიამ იცის, რომ ბოტანიკური ბაღის მისამართით საზოგადოების მაღალი ინტერესი არსებობს, მაგრამ ეს არ აინტერესებს, ამბობს, რომ გამონაკლისს არ დაუშვებს და საკრებულოში სანტა კლაუსივით დეკემბერში მივა.

– მივალ აუცილებლად, ოღონდ დეკემბერში, ეს უკვე პრაქტიკად ვაქციეთ ჩვენ ანუ თბილისის მერი საკრებულოს წინაშე წარდგება წელიწადში ერთხელ კანონმდებლობით დადგენილი წესით. დეკემბერში წარვადგენ ბიუჯეტსაც და პასუხს გავცემ ყველა იმ კითხვას, რომლებიც იქნება დასმული, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

ქალაქის თავის ამ განმარტებამ, საკრებულოს წევრების გარდა, არასამთავრობოები და პარლამენტის დეპუტატებიც გააღიზიანა. პარლამენტის სპიკერმა მას ცუდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

– ყველაზე მეტად გამაოცა თბილისის მერის, ჩემი დიდი ხნის კოლეგისა და მეგობრის, დავით ნარმანიას პოზიციამ იმის თაობაზე, რომ ის დეკემბრამდე საკრებულოში მისვლას არ აპირებს. უბრალოდ, გავოცდი ასეთი განცხადების გამო. მე მინდა ვთხოვო, ვურჩიო დავითს, რომ გაითვალისწინოს ბევრი რამ. თუ დეკემბრამდე ის არ მივა საკრებულოში, შესაძლოა დეკემბრის



შემდეგ საკრებულოს არ მოუნდეს მასთან შეხვედრა და არა მხოლოდ საკრებულოს. ეს არ არის სწორი პოზიცია. ვინც ასე ეპყრობოდა საკრებულოსა და პარლამენტს, მერები, მინისტრები თუ პრემიერ-მინისტრები, მათ დიდი წარმატებებისთვის არ მიუღწევიათ, ამაზე ჩვენი უახლესი ისტორია მეტყველებს. აღარ ჩავალ დეტალებში. ყველა საკითხზე ყველას უნდა ჰქონდეს პასუხი, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის სპიკერის განცხადებამ იმედიანად განაწყო საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი. რომელიც, სხვა ოპოზიციონერების მსგავსად, ნარმანიას იმპიჩმენტის მომხრეა.

ელისაშვილი თითქმის დარწმუნებულია, რომ ამ განცხადების შემდეგ იმპიჩმენტის პროცედურას რესპუბლიკელებიც შეუერთდებიან.

მისივე თქმით, პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება იყო პირდაპირი მინიშნება ნარმანიას იმპიჩმენტზე.

– კულისები არ ვიცი, რა გადაწყვეტილებებს იღებენ რესპუბლიკურ პარტიაში ან „ქართულ ოცნებაში“, თუმცა ზუსტად ასე აღვიქვი და ნამდვილად ღირსია ნარმანია იმპიჩმენტის, თუნდაც ამ განცხადების გამო. დარწმუნებული ვარ, საკრებულოს უმრავლესობაც შეურაცხყოფილი იქნება ნარმანიას ამ განცხადებით. თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, არა თბილისის მერის, არამედ საკრებულოს გადასაწყვეტია, რამდენჯერ და როდის მოვა თბილისის მერი საკრებულოში. ნარმანიამ შეურაცხყოფა მოგვაყენა მთელ საკრებულოს და, შესაბამისად, მთელ თბილისს. აშკარა იყო პარლამენტის თავმჯდომარის



მინიშნება იმპიჩმენტთან დაკავშირებით, – განაცხადა ელისაშვილმა.

უსუფაშვილის განცხადებამ ნაციონალი ირაკლი აბესაძეც გაამხნევა. მისი თქმით, ნარმანია უკვე რესპუბლიკელებისა და „ქართული ოცნებისთვის“ არის მიუღებელი.

ირაკლი აბესაძეს თქმით, ნათელია, რომ მერად დანიშვნის პირველივე დღიდანვე დავით ნარმანია პრინციპულ საკითხებთან მიმართებით საზოგადოებას ემალება.

– მას არ გააჩნია პასუხები, მას არ გააჩნია პოზიცია და ის, უბრალოდ, ერთი ადამიანის ნებასურვილის შემსრულებელია. როგორც ჩანს, ეს რესპუბლიკელებისა თუ სხვა „ქართული ოცნების“ პოლიტიკური პარტნიორებისთვისაც უკვე აღმოჩნდა მიუღებელი და, რა თქმა უნდა, ეს ადამიანი არ შეიძლება იყოს დღეს თბილისის მერი. რა თქმა უნდა, მხოლოდ მისი დანაშაულია, რომ დღეს ბოტანიკურ ბაღსა და მიმდებარე ასეულობით ჰექტარს ისე იტაცებს ივანიშვილი, რომ არავინ ზრუნავს მოქალაქეების ინტერესებსა და მოქალაქეების დაცვაზე, – განაცხადა აბესაძემ.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი თბილისის მერ დავით ნარმანიას ურჩევს, საკრებულოში მივიდეს.

– უსუფაშვილის განცხადება მკაცრი იყო. მეც ვურჩევდი დედაქალაქის მერს, მივიდეს საკრებულოში და მიაწოდოს ინფორმაცია, მით უმეტეს, რომ დასამალი არაფერია, – აღნიშნა ვოლსკიმ.

სპიკერის მიერ შეფუცხუნებული უფროსის ღირსება ვიცემერმა ირაკლი ლექვინაძემ




დაიცვა. მან ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მას უსუფაშვილის განცხადება არ მოუსმენია, ამასთან, მზად არის, საკრებულოში თავისი ხალხი გააგზავნოს.

– მზად ვართ, შესაბამისი სამსახურები საკრებულოში მივიდეთ და ყველა დაინტერესებულ მხარეს ამ საკითხზე ვესაუბროთ დეტალურად და არა პოლიტიკურად ანგაჟირებული ტონით, – განაცხადა ლექვინაძემ.

* * *

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა საკრებულოში მერის იმპიჩმენტზე ალაპარაკდნენ. გასული წლის დამლევს მერიის მიერ წარდგენილი ბიუჯეტი საკრებულომ დაიწუნა. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე თედო კობახიძემ მაშინ განაცხადა, რომ თუ პროექტი არ შეიცვლებოდა, მერის იმპიჩმენტის საკითხი დადგებოდა.

რამდენიმე თვით ადრე მას ჯოკია ბოდოკიას სკანდალის გამო უპირებდნენ გაიმპიჩმენტებას, საკრებულოს უმრავლესობაც მზად იყო, მაგრამ ივანიშვილმა გადაიფიქრა. იმ პერიოდში მას პრეზიდენტთანაც კონფლიქტი ჰქონდა და აღარ უნდოდა, მის სახელთან არჩეული მერის იმპიჩმენტი ყოფილიყო დაკავშირებული.

# ნუგზარ წიკლაური და გოკა გაბაშვილი სიის მიღმა დარჩნენ

შორენა მარსაგიშვილი

**მაისის ბოლოს ნაციონალური მოძრაობა საზოგადოებას თავის საარჩევნო სიას წარუდგენს. ამ ფორმირების გამო აქ ისეთი ამბები ტრიალებს, შესაძლოა, ნაციონალებს სიაში შესაყვანი ხალხი აღარ დარჩეთ.**

გიორგი ვაშაძის დემარშის შემდეგ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები უკვე აღიარებენ დაპირისპირებას. უთანხმოების გამო ნაციონალებმა საარჩევნო სიის ათეულიც კი შეცვალეს. ამ ეტაპზე პარტიაში მხოლოდ პირველ





ოთხეულზე საუბრობენ.

მართალია, ერს დაჰპირდნენ, რომ სიაში ახალ სახეებს შეიყვანდნენ, მაგრამ პირველ ოთხეულში რომან გოცირიძე შეიყვანეს, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ეროვნული ვალუტის გაუფასურებასთან არის ასოცირებული. მადლიერმა ერმა მას ამ დამსახურებისთვის ალ კუპონეც კი შეარქვა.

გოცირიძის პირველ ათეულში შეყვანას პარტიაში სერიოზული უთანხმოება მოჰყვა.

მის გარდა, ლიდერებში დავით ბაქრაძე, სალომე სამადაშვილი და ნიკა მელია მოხვდნენ.

უკვე დადასტურებულია, რომ სიის პირველი ნომერი დავით ბაქრაძე იქნება, რომელიც, სალომე სამადაშვილის მსგავსად, თავის დროზე პოლიტიკაში ნინო ბურჯანაძის კვოტით მოხვდა.

მათ გარდა, პირველ ათეულში მოხვდა პარტიის აღმასრულებელი მდივანი სერგო რატიანიც.

სიის მეორე ათეულში, „პირველი რადიოს“ ინფორმაციით, მოხვდნენ ოთო კახიძე, ირაკლი აბესაძე, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ირმა ნადირაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, გიგა ბოკერია.

სიაში ჩასმაზე უარი თქვა ზაზა ბიბილაშვილმა, რომლის ჩასმას ნაციონალები პირველ ათეულში აპირებდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, სიის მიღმა ბევრი ცნობილი ნაციონალი დარჩა. მათ შორის ნუგზარ წიკლაური და გოკა გაბაშვილიც სახელდებიან.

გავრცელებული ინფორმაციით, ნაციონალები სიაში არც გია ბარამიძეს შეიყვანენ. რამდენიმე კვირის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამის გამო მას შესაძლოა საქართველოდან გაქცევაც კი მოუხდეს.

როგორც ამბობენ, პროკურატურამ აფრასიძეების საქმის გამოძიება ძალიან გაააქტიურა და ის მალე დასრულდება. იმ შემთხვევაში, თუ ბარამიძეს დეპუტატის იმუნიტეტი არ ექნა, შესაძლოა, დააპატიმრონ კიდევაც.

ვაშაძის დემარშის შემდეგ ნაცმოძრაობაში მკვეთრი კომენტარების გაკეთებას ერიდებიან.

დეპუტატი ირმა ნადირაშვილი ამბობს, რომ სიის ფორმირება ჯერ დასრულებული არ არის და, შესაბამისად, არც არაფერი გადაწყვეტილა.

მისი მტკიცებით, ამ ეტაპისთვის ცნობილი მხოლოდ ის არის, თუ ვინ იქნება მათი პირველი ნომერი.

– შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ სიის პირველი ნომერი ბაქრაძე იქნება. დანარჩენ გვარებთან დაკავშირებით საუბარი არის, მაგრამ სიის ფორმირების პროცესი არ არის დასრულებული და, რაც მთავარია, შევთანხმდით პარტიაში, რომ ამ თემაზე ჩვენ კომენტარებს არ ვაკეთებთ, სანამ საჯაროდ არ ვიტყვით სიის წევრების ვინაობას, – განმარტავს ირმა ნადირაშვილი.

მისი განცხადებით, ნაციონალების სია დაახლოებით 10 დღეში გასაჯაროვდება.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ალასანია ივანიშვილს ემუქრება

## „მე დავიწყებ ხალხის მობილიზებას ქუჩის საპროტესტო აქციებში“

**– კაბელების საქმეზე მოლოდინი გვაქვს, რომ ყველა ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგება.**

ეს განცხადება 6 მაისს საქართველოს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ შესაბამის თემაზე კომენტირებისას განაცხადა.

როგორც ირაკლი შოთაძემ აღნიშნა, ბრალდების მხარემ ყველა საჭირო მტკიცებულება წარადგინა, რომლითაც ბრალდებულების ბრალეულობა მტკიცდება.

– ეს დადასტურდა არა მარტო წინასწარი გამოძიებით, არამედ სასამართლოში ჩატარებული გამოძიებით, კონკრეტულად ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით. ჩვენი პოზიცია არის მყარი და ერთადერთი მოლოდინი არის გამამტყუნებელი განაჩენი ყველა ბრალდებულის მიმართ, – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

პრაქტიკულად იგივე განცხადება გააკეთა ოდნავ მოგვიანებით საქმის პროკურორმა ნინო აღლემაშვილმა.

– სახელმწიფო ბრალდებას კაბელების საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის მოლოდინი აქვს, – განაცხადა მან თბილისის საქალაქო სასამართლოში 6 მაისის სხდომის დასრულების შემდეგ.

პროკურორის შეფასებით, საქმეზე სახელმწიფო ბრალდებამ წარადგინა მტკიცებულებები, რომლებმაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტებით დაადასტურეს ბრალდებულების დანაშაული.

– ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ადვოკატებს თვითონ არ სჯეროდათ თავიანთი არგუმენტების დასაბუთებულობისა და დამაჯერებლობის. ყველაზე მთავარი ამ საქმეში არის ის, რომ სახელმწიფო ბრალმდებლებმა წარმოადგინეს მტკიცებულებები, რომლებმაც გონივრული ეჭვის მიღმა სტანდარტით დაადასტურეს ბრალდებულების დანაშაული. ამ ფონზე ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთადერთი ულტერნატივო გადაწყვეტილება მოსამართლის მხრიდან არის გამამტყუნებელი განაჩენი, – განაცხადა ნინო აღლემაშვილმა.

პროკურორმა ასევე განმარტა, თუ რატომ არ ისარგებლა ბრალდების მხარემ რეპლიკის უფლებით. აღლემაშვილის თქმით, სასამართლოს წინაშე სახელმწიფო ბრალდებამ ყველა არგუმენტი საკუთარ დასკვნით სიტყვაში წარადგინა და, შესაბამისად, არ ჩათვალა საჭიროდ, რომ კიდევ ერთხელ ესაუბრა აღნიშნულ ფაქტებზე.

– ჩვენ დასკვნით სიტყვაში, რომელიც მოსამართლეს წინასასამართლო სხდომაზე მოვახსენეთ, აქცენტები ყველა მნიშვნელოვან გარემოებებზე გავაკეთეთ, ვისაუბრეთ ყველა ფაქტზე და სამართლებრივი შეფასება გავუკეთეთ მათ, შესაბამისად, არ მივიჩნიეთ დღეს საჭიროდ, კიდევ ერთხელ გაგვემეორებინა იგივე არგუმენტები სასამართლო პროცესზე, – განაცხადა ნინო აღლემაშვილმა.

* * *

საპირისპირო პოზიცია აქვს დაცვის მხარეს, რომლის ინიციატივითაც, პროცესი 11 მაისისთვის გადაიდო.

6 მაისის პროცესზე დაცვის მხარე დასკვნითი სიტყვით წარდგა. დასკვნითი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ პროკურორს საბოლოო რეპლიკის უფლება ჰქონდა, თუმცა ამით არ ისარგებლა, რის შემდეგაც პროცესზე ბრალდებულთა საბოლოო სიტყვის წარმოთქმის ეტაპი დადგა, თუმცა დაცვის მხარის შუამდგომლობით, პროცესი 11 მაისისთვის გადაიდო.

ბრალდებულები დასკვნით სიტყვას სწორედ 11 მაისს დაგეგმილ პროცესზე წარმოთქვამენ, რის შემდეგაც მოსამართლე სათათბიროდ გავა. არ არის გამორიცხული, რომ მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილმა საქმეზე გადაწყვეტილება სწორედ 11 მაისს გამოაცხადოს.

ადვოკატი სოსო ბარათაშვილი ელის, რომ მოსამართლე ბრალდებულთა მიმართ მხოლოდ გამამართლებელ განაჩენს გამოიტანს.

– დაცვის მხარემ დასკვნით სიტყვაში დაასაბუთა როგორც სამართლებრივი, ასევე ფაქტობრივი თვალსაზრისი, რომ ბრალდებულები არიან აბსოლუტურად უდანაშაულოები, ბრალდების მხარეს არ გააჩნია არავითარი პოზიცია, მათ რეპლიკაც კი ვერ წარმოთქვეს სასამართლო პროცესზე. მე მგონი, არ რჩება არავითარი კითხვის ნიშანი იმის თაობაზე, რომ აუცილებლად გამამართლებელი განაჩენი უნდა გამოიტანოს სასამართლომ, – განაცხადა სოსო ბარათაშვილმა.

* * *

თავისუფალი დემოკრატები მთავარ პროკურორს მოუწოდებენ, სასამართლოზე ზეწოლა შეწყვიტოს. ამის შესახებ თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა ვიქტორ დოლიძემ კაბელების საქმეზე სასამართლო პროცესის დაწყებამდე განაცხადა.

დოლიძე მთავარი პროკურორის, ირაკლი შოთაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ კონკრეტულად ამ საქმეზე პროკურატურას არავითარი უტყუარი მტკიცებულება არ გააჩნია.

– მინდა ვუთხრა პირადად ირაკლი შოთაძეს და მათ, ვინც უშუალოდ ამ საქმეშია ჩართული – ზეწოლა, რომელსაც იგი ამ შემთხვევაში საკუთარი განცხადებით ახორციელებს სასამართლოზე, პირადად მას არაფერს მოუტანს. არანაირი უტყუარი მტკიცებულებები პროკურატურას არ გააჩნია.

ვიცით, რომ ეს იყო პოლიტიკურად მოტივირებული ნაბიჯი, რომელიც პროკურატურამ გადადგა. ეს მთელმა საქართველომ იცის და მიუხედავად იმისა, რომ მთავარი პროკურორი ამგვარ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, იმედია, სასამართლო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, – განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

უფრო რადიკალური იყო პარტიის ლიდერის, ირაკლი ალასანიას განცხადება.

– ჩვენ დავიწყებთ ბრძოლას ბიძინა ივანიშვილის არაფორმალური მმართველობის წინააღმდეგ ქუჩის აქციებით, – განაცხადა მან კაბელების საქმეზე კომენტირებისას.

როგორც ირაკლი ალასანიამ „ტვ პირველის“ ეთერში აღნიშნა, საპროტესტო აქციები იმ შემთხვევაში გაიმართება, თუკი დადასტურდა, რომ ივანიშვილი ერევა სასამართლოს და მოსამართლეების გადაწყვეტილებების მიღებაში.

მისივე თქმით, საქართველო ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის საკუთრება არ არის, როგორც ეს მას ჰგონია.

– იმედი მაქვს, იზიარებს დღევანდელი პრემიერი, მთავრობა და ასევე სასამართლო ხელისუფლება, რომ ძალიან დიდ დარტყმას მიაყენებს ქართულ სახელმწიფოს, თუკი დადასტურდა, რომ ბიძინა ივანიშვილი ერევა მოსამართლეების გადაწყვეტილებებში. ეს იქნება რეალურად საბოლოო წვეთი, რომ მოვლენები გადავიდეს ახალ ფაზაში და ეს ფაზა იქნება ის, რომ მე მოვუწოდებ საზოგადოების დიდ ნაწილს, პირდაპირ დავიწყოთ ბრძოლა ბიძინა ივანიშვილის არაფორმალური მმართველობის წინააღმდეგ ფიზიკურადაც.

მე დავიწყებ ხალხის მობილიზებას ქუჩის საპროტესტო აქციებში, იმიტომ, რომ ეს იქნება ბოლო წვეთი მოთმინების, რომელიც დამოუკიდებლობის მოყვარე ხალხს დაეცემა, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მან მთავარი პროკურორის განცხადებაზეც ისაუბრა.

– პროკურორი შოთაძის განცხადება ემსახურება იმას, რომ შექმნას საზოგადოებაში წარმოდგენა იმაზე, რომ კაბელების საქმე დასრულდება პროკურატურის სასარგებლოდ. ერთი მხრივ, ეს არის პირდაპირი ზეწოლა მოსამართლეზე, – განაცხადა ალასანიამ.

თავისუფალი დემოკრატების ლიდერი იმედოვნებს, რომ მოსამართლე არა პოლიტიკურ, არამედ სამართლებრივ გადაწყვეტილებას მიიღებს.



### განაჩენი კაბელების საქმეზე შეიძლება 11 მაისს გამოიტანონ

# ალექსანდრე თვალჭრელიძე: „ახალი პოლიტიკური ძალა გამოჩნდება“

## „ძალიან ბევრი რამ იქნება იმაზე დამოკიდებული, შექმნის თუ არა პაატა ბურჭულაძე პოლიტიკურ პარტიას“

**„ინტერპრესნიუსი“ საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსს, ალექსანდრე თვალჭრელიძეს ესაუბრა.**

***– ბატონო ალექსანდრე, ჩობლე არტნერ-ის ამერიკულ-ქართული სამხედრო სწავლების ფარგლებში საქართველოში ნატო-ს ტექნიკა შემოვიდა. სწავლება ვაზიანში მალე გაიმართება. ნატო-სა და რუსეთს შორის უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობების ფონზე, რას შეიძლება ნიშნავდეს საქართველოში „აბრაჰამსებისა“ და „ბრედლების“ გამოჩენა?***

– არც არაფერს განსაკუთრებულს. ეს ერთობლივი სწავლების დიდი ხნის წინ დაანონსებული ღონისძიებაა. საქმე იმაში კი არ არის, რა ტექნიკა შემოვიდა საქართველოში, საქმე ისაა, თუ სწავლების შემდეგ რა ტექნიკა დატოვებს საქართველოს ფარგლებს.

***– მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი საქართველოში ე.წ. ჰიბრიდულ ომს კარგა ხანია აწარმოებს, მოლდოვასგან განსხვავებით, ნატო-ს ტექნიკის გამოჩენა საქართველოში არავის გაუპროტესტებია. რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ რუსეთმა საქართველოში წინასაარჩევნოდ არასტაბილური გარემოს შექმნა შეძლოს?***

– რუსეთი მოვლენების თავის სასარგებლოდ განვითარებას ნამდვილად კი შეეცდება, მაგრამ რა გამოუვა, სხვა საკითხია. რუსეთი თავის შეცდომებზე არ სწავლობს და სულ ერთსა და იმავე ტექნოლოგიებს იყენებს.

მხედველობაში მაქვს არასამთავრობო სექტორის ნაწილის დაფინანსება და, ფაქტობრივად, მე-5 კოლონად გამოყენება. ეს, ჩემი აზრით, მსოფლმხედველური ნონსენსია: პროდასავლური არასამთავრობო ორგანიზაციები რუსეთის ტერიტორიაზე იმდენად გავლენიანი იყო და იმდენად მნიშვნელოვნად ზემოქმედებდნენ სოციალურ შეგნებაზე, რომ პუტინმა ისინი უბრალოდ აკრძალა. საქმე იმაში კი არ არის, რა ტექნიკა შემოვიდა საქართველოში, საქმე ისაა, თუ სწავლების შემდეგ რა ტექნიკა დატოვებს საქართველოს ფარგლებს.

საქართველოში არსებითად სხვა ვითარებაა – ზოგიერთი საკმაოდ ხანდაზმული ადამიანის გარდა, რუსეთის ჰეგემონიის იდეას მხარს პრაქტიკულად არავინ უჭერს, მათ შორის, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, არც რუსულენოვანი მოსახლეობა. ასეთ ვითარებაში, გულახდილად ვთვლი, რომ პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას უბრალოდ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ: ისინი „თვითლუსტრაციას“ თვითონვე მშვენივრად მოახერხებენ.

გარდა ამისა, რუსეთი სამ სექტორად ვერ გაიხლიჩება, მისთვის, ახლა და აქ, ყველაზე მნიშვნელოვანია, რა ხდება და რა მოხდება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, თუმცაღა, იარაღს ორივე მხარეს აწვდის...

***– მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის თარიღი განსაზღვრული ჯერ არაა, ფაქტია, რომ ქვეყანა არჩევნების რეჟიმშია. თქვენი დაკვირვებით, რა ხდება პოლიტიკურ ასპარეზზე ისეთი, რაც არ ჩანს, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია და შეიძლება გადამწყვეტი გავლენა იქონიოს ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე?***



– ძალიან რთულ კითხვებს მისვამთ. ჩემი აზრით, ჯერ ყველაფერი ისე მიდის, როგორც რამდენიმე თვის წინ ვივარაუდეთ ანუ ჩნდებიან ახალი აქტორები და მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, პაატა ბურჭულაძე.

ძალიან ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, შექმნის თუ არა პაატა ბურჭულაძე პოლიტიკურ პარტიას, ყველაფერი კი აქეთკენ მიდის. ასევე საინტერესოა, თუ პარტიას შექმნის, შევა თუ არა სხვა პოლიტიკურ ძალასთან ალიანსში. თუ შევა, ეს სერიოზული პოლიტიკური შეცდომა იქნება: პაატა ბურჭულაძის რეიტინგი საკმაოდ მაღალია, იგი „ლოკომოტივის“ მაგივრად იქნება გამოყენებული, ხოლო არჩევნების შემდეგ მას თავისი გავლენის სხვა მოკავშირეებისთვის განაწილება მოუწევს. არ გამოვრიცხავ, რომ სხვა ახალი ძალებიც გამოჩნდნენ.

***– პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა დამწყები ბიზნესის დაფინანსებისთვის საფინანსო ინსტიტუტის შექმნა დააანონსა. საუბარია ინოვაციური იდეების გირაოს გარეშე დაფინანსების ინსტიტუციონალიზაციაზე, რაც ქვეყანაში აქამდე არასოდეს ყოფილა, რომლის მუშაობაში ჩართული იქნებიან საერთაშორისო ექსპერტები. თქვენი აზრით, სავარაუდოდ, რამდენად წარმატებული შეიძლება აღმოჩნდეს ე.წ. „სტარტაპების“ ხელშეწყობის ინსტიტუტი? სხვა ქვეყნებში ამგვარი პრაქტიკის წარმატებული მაგალითები თუ არსებობს?***

– ისევ ქართული სინდრომი იმოქმედებს. ინოვაციური პროექტების მოგონება – ჩამოყალიბებაზე აღარ ვსაუბრობ, ძნელია. ამიტომ ადამიანთა ის მცირე ნაწილი, რომელიც დაფინანსებას მიიღებს (და ეს მართლაც პროფესიონალი და ჭკვიანი ადამიანები იქნებიან), კმაყოფილი იქნება და ბიზნესს განავითარებს. მაგრამ უმრავლესობა, რომელთა პროექტები ექსპერტიზას ვერ გაივლიან, უკმაყოფილოები დარჩებიან. ზოგადად საქართველოსთვის კი ეს მიდგომა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საქართველო მოწინავე ტექნოლოგიების შემქმნელი ქვეყნების ნუსხაში ჩაიწერება.

***– ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებული საკითხი კვლავ განხილვის თემად რჩება. თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორია ამ თემის სამართლებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები და, სავარაუდოდ, როგორ აისახება ისინი როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ პროცესებზე?***

– მე ამ კითხვაზე ლევან ბერძენიშვილის პასუხი მომეწონა: „რაც დასაშვებია ქიბროწაშვილისთვის, ივანიშვილისთვისაც დასაშვები უნდა იყოს“.

**კობა ბენდელიანი**

**„ინტერპრესნიუსი“**

# „ბოტანიკური ბაღის ხელყოფა ივანიშვილის ახირებების გამო ხდება“



## ლაშა ჩხარტიშვილი: „თუ პანორამა თბილისი სრული მასშტაბით განხორციელდა, ძველი თბილისი აღარ გვექნება“

ნონა ცაბაძე

ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებული აჟიოტაჟი კვლავაც არ ცხრება. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნულ საკითხებზე ეკოლოგი, დემოკრატიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ლაშა ჩხარტიშვილი საუბრობს.

***– ლაშა, ოპონენტები აკეთებენ განცხადებებს, რომ ბოტანიკური ბაღის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი უსაფუძვლოა და გარემოს დამცველები ნაციონალების მოწოდებებს აჰყვნენ. რამდენად არის ასე?***

– ბოტანიკური ბაღი რეალურად გახლავთ კავკასიაში ყველაზე ძველი ხელთქმნილი ბაღი და მას ძალიან დიდი მნიშვნელობა გააჩნია როგორც ჩვენი დედაქალაქის, ასევე საქართველოსთვის. ყველაზე მსხვილი რეკრეაციული პარკია, რომელიც შემოგვრჩა და გვაქვს ქალაქის მიმდებარედ.

***– გვესმის არგუმენტები, რომ ნაცმოძრაობის დროს მეტი ფუჭდებოდა.***

– ნამდვილად არ მაინტერესებს, ვინ მეტი გააფუჭა და ვინ – ნაკლები. კი, შეიძლება „ქართული ოცნება“ ჯერ რაოდენობრივად ვერ დაეწია განადგურებული რეკრეაციული ზონებისა და ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განადგურებაში ნაციონალებს, მაგრამ ისეთი ტემპი აქვთ აღებული, რომ მალე დაეწევიან და შესაძლოა გაუსწრონ კიდეც!

ეს არ არის ოლიმპიადა! შესადარებელი უნდა იყოს კარგი, უკეთესი საქმეები და არა ის, ვინ მეტს აფუჭებს! ოთხი წელი გავიდა და ხელისუფლებამ არ გამოიძია ნაციონალების გაფუჭებული საქმეები და, ალბათ, ეს შეგნებულად გააკეთა!

***– რატომ შეგნებულად?***

– სწორედ იმიტომაც, რომ ჰქონდეთ დაუსჯელობის სინდრომის წახალისების საშუალება მოქმედ ჩინოვნიკებში და მოხელეებში, იმიტომ, რომ დღემდე ნაცმოძრაობის არცერთ წარმომადგენელს და მათი ხელისუფლების წევრს არ უგია პასუხი ეკოლოგიური დანაშაულისათვის! ეს კეთდება იმიტომაც, რომ მათ გაუიოლდეთ ურთიერთობა საკუთარ ჩინოვნიკებთან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ის გამოცდილი და დანაშაულებრივი კადრია, რომელიც ნაცმოძრაობას გამოწვრთნილი ჰყავდა ასეთ საქმეებში.

***– ივანიშვილმა დაიწყო ბოტანიკური ბაღის განადგურება?***

– ბოტანიკური ბაღის განადგურება დაწყებულია შევარდნაძის პერიოდში, მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილს მისცეს უფლება, აეშენებინა შუშის სასახლე, სოლოლაკის ქედზე, რომელიც არის ისტორიული ლანდშაფტი და მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქალაქის ისტორიული იერსახის ნაწილი.

შემდგომში, ნაცმოძრაობის დროს ხდებოდა ბოტანიკური ბაღის ხელყოფა და ეს სწორედ ნაცების დანაშაული იყო, ვიდრე ბიძინა ივანიშვილის. მაშინ ივანიშვილი ინვესტორი იყო. დღეს კი სხვა ვითარებაა, დღეს ბიძინა ივანიშვილი არ არის კერძო პირი, ის არის პირდაპირი ხელმძღვანელი მოქმედი ხელისუფლების. უკვე მის დაკვეთებს, არა როგორც ინვესტორის, არამედ ხელისუფლების არაოფიციალური პირის დაკვეთებს ასრულებს ჩინოვნიკური სისტემა.



ბოტანიკური ბაღის ხელყოფა ხდება მისი პირადი ახირებების გამო. ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, მიშა გამინადგურებს ჩემი ქალაქის იერსახეს თუ ბიძინა?!

***– უმრავლესობა აცხადებს, რომ იერსახის განადგურება არ მიმდინარეობს, რადგან ივანიშვილს ბუნებასთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს და მხოლოდ ბოტანიკური ბაღის გაფართოებასა და გალამაზებაზე ზრუნავს.***

– სამარცხვინოა! საპარლამენტო უმრავლესობასა თუ უმცირესობაში ზოგიერთს გონებრივი განვითარების სერიოზული პრობლემები გააჩნია, როგორც ჩანს, სინდისის პრობლემებთან ერთად.

ბიძინა ივანიშვილს ნამდვილად უყვარს ბუნება, უყვარს ცხოველები, ოღონდ უყვარს საკუთარ კარმიდამოში. ის არის ტიპური მესაკუთრე, რომელსაც ყველაფერი უყვარს თავისთვის, ხოლო საზოგადოებრივ და საჯარო სივრცეებში ყოველივე ამის მიმართ ბევრად უფრო გულგრილია. ივანიშვილი სწორედ ის ადამიანია, რომელმაც თავის კოალიციასთან ერთად დაარღვია ბევრი საარჩევნო დაპირება, მათ შორის ეკოლოგიურ სფეროში.

***– თანაინვესტირების ფონდს გადაეცა სადავო მიწის ნაკვეთი. რა აქვს ივანიშვილს დაგეგმილი?***

– სასტუმროს მშენებლობაზეა საუბარი. ეს არის პანორამა თბილისთან დაკავშირებული პროექტი. შევახსენებ ივანიშვილს, რომ შუშის შენობების ადგილი ნამდვილად არ არის ძველ ქალაქში. ეს ვერ გაიგო ვერც სააკაშვილმა და ამის გაგება არ უნდა არც ივანიშვილს. ეს მათი ფსიქოლოგიური თუ მენტალური პრობლემაა. უნდა გავაგებინოთ ამ ადამიანებს, რომ ივანიშვილის შუშის სასახლე შესაძლოა ძალიან საინტერესო შენობა იყოს, ოღონდ არა იქ, სადაც არის.

***– ბოტანიკური ბაღის შემთხვევაზე რას იტყვით?***

– აქ საუბარია ორ ძირითად პრობლემაზე, ერთი, რომ მიწის ნაკვეთის გადაცვლის საკითხი უჩუმრად და წინასწარი განხილვის გარეშე მოხდა, რაც მიუღებელია. დარღვეულია კანონიც, იმიტომ, რომ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთან გვაქვს საქმე და არა – ჩვეულებრივ რეკრეაციულ ზონასთან. ამ პროცესში კულტურის სამინისტროს თანხმობაც და მონაწილეობაც უნდა ყოფილიყო. ასეთი მნიშვნელობის პარკს ნელ-ნელა ჭამენ და ანადგურებენ საკუთარი ბიზნესინტერესებისა თუ ახირებებისთვის. მეორე და უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა გახლავთ გზასთან დაკავშირებული საკითხი. უფრო დიდი და უფრო მასშტაბური დანაშაული.

***– რით გამოიხატება მისი მასშტაბურობა?***

– იმაში, რომ 520 ხე გაანადგურეს თბილისში, სადაც ეკოლოგიური გარემო ისედაც უმძიმესია. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული დედაქალაქი გვაქვს და ამ რეალობაში 520 ხის განადგურება არის დიდი ეკოლოგიური დანაშაული, რაც ბევრი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას ნიშნავს. ეს ყველაფერი კი მოხდა გზის მშენებლობის „კეთილშობილი“ საბაბის გამოყენების მიზნით.

***– როგორ აპირებთ, წინ აღუდგეთ ამ პროცესს?***

– ყველა მეთოდს გამოვიყენებთ, რაც კი შეგვიძლია. ყველანაირად შევეცდებით, რომ შევაჩეროთ ეს პროცესი. ძალიან მიჭირს იმის გაგება, თუ რატომ არ ესმით ადამიანებს, რაზეა საუბარი. საქმე ხომ ჩვენი დედაქალაქის, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქალაქის განადგურებაშია!

თუ პანორამა თბილისი სრული მასშტაბით განხორციელდა, ჩვენ აღარ გვექნება ძველი თბილისი! ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს ტერიტორია შევინარჩუნოთ. იქნება აქციები, სასამართლო პროცესები, ყველა მეთოდს გამოვიყენეთ ამის შესაჩერებლად! მთავარია საზოგადოების აქტიურობა. სხვა წამალი არ არსებობს!


## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**


## სპორტი

### კეილორ ნავასმა და გარეტ ბეილმა ტრავმები მიიღეს



მადრიდის რეალის ორ ფეხბურთელმა კეილორ ნავასმა და გარეტ ბეილმა ტრავმები მიიღეს. ნავასს გამოკვლევა უკვე ჩაუტარდა და მისი ტრავმა სერიოზული არ არის, თუმცა ის ვალენსიასთან შეხვედრას გამოტოვებს.

ბეილის საქმე უფრო სერიოზულად არის, რადგან უელსელმა ვინგერმა მუხლი დაიზიანა და მისი ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ბეილს მუხლი ადრეც აწუხებდა და შესაძლოა მას ძველი ტრავმა გაუმიზეზდა, რაც რეალისთვის ძალიან ცუდია, რადგან ბეილი ბოლო პერიოდში შესანიშნავ ფეხბურთს აჩვენებდა. ჩემპიონთა ლიგის ფინალი 28 მაისს მილანში გაიმართება და მადრიდის რეალი თანაქალაქელ ატლეტიკოს დაუპირისპირდება.

### ბარსელონა ჰატემ ბენ არფას აკვირდება



ბარსელონა ნიცას ლიდერით ფრანგი ფორვარდით ჰატემ ბენ არფათი დაინტერესდა. ბენ არფას თავის დროზე ძალიან დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მან მოლოდინი ბოლომდე ვერ გაამართლა და ნიუკასლში წარუმატებელი გამოცდილების შემდეგ ისევ მშობლიურ საფრანგეთში დაბრუნდა. ამჟამად ის ნიცაში თამაშობს, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატში მაღალ პოზიციებს იკავებს, ხოლო ბენ არფას 17 გოლი აქვს გატანილი. ჯერჯერობით კონკრეტული თანხა არ სახელდება, რომელიც შეიძლება კატალონიელებმა ამ ტრანსფერში გადაიხადონ, თუმცა ბენ არფას კონტრაქტი ზაფხულში ეწურება და შესაძლოა ის სხვა გუნდში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდეს.

### იურგენ კლოპმა სტარიჯი შეაქო



5 მაისს ლივერპულმა საკუთარ მოედანზე ესპანური ვილიარეალი გაანადგურა 3:0 და ევროპის ლიგის ფინალში გავიდა.

იურგენ კლოპის კოლექტივმა მეტოქეს შანსი არ მისცა და სრულიად დამსახურებულად ითამაშებს ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრაში სადაც მისი მეტოქე სევილია იქნება. მატჩის შემდეგ კლოპმა თავისი გუნდი შეაქო, თუმცა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ დანიელ სტარიჯი შესანიშნავ ფორმაშია და მან ამ გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

კლოპმა ასევე აღნიშნა, რომ მისი გუნდი ჯერ ფინალზე არ ფიქრობს, თუმცა სევილია ძალიან ძლიერი მეტოქეა. ფინალური შეხვედრა 18 მაისს ბაზელში გაიმართება.

### გუნდოგანი ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს



თურქული წარმოშობის გერმანელი ნახევარმცველი ილკაი გუნდოგანი ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს. ამის შესახებ ცნობილი რამდენიმე დღის წინ გახდა. გუნდოგანს საკმაოდ სერიოზული ტრავმა აქვს და გამოსაჯანმრთელებლად დაახლოებით ორი თვე დასჭირდება. გუნდოგანი დორტმუნდის ბორუსიიას ერთ-ერთი ლიდერია, თუმცა, როგორც ამბობენ, მისი მანჩესტერ სიტიში გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია. გერმანიის ნაკრებში გუნდოგანს საკმაოდ ხშირად იძახებენ და მისი არყოფნა გერმანელებისთვის უდაოდ დანაკლისი იქნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა


**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# თურქეთის პრემიერი გადადგა



თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ახმატ დავუთოღლუმ გადადგომის შესახებ გამოაცხადა. ის მმართველი სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ლიდერის პოსტსაც დატოვებს.

ჟურნალისტებთან საუბარში დავუთოღლუმ აღნიშნა, რომ პარტიის ყრილობაზე ლიდერის პოსტზე კენჭისყრას არ აპირებს.

— მე მივდივარ, — აცხადებს აწ უკვე ექსპრემიერი.

ახმატ დავუთოღლუ თურქეთის პოლიტიკურ ელიტაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ამან განაპირობა ის, რომ რეჯებ ერდოღანმა 2014 წელს სწორედ ის დაასახელა პრემიერის პოსტზე. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დავუთოღლუ ერდოღანს გვერდით ედგა.

დასავლელი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ის წარმატებული პრემიერი იყო.

დავუთოღლუს გადადგომა დიდად განაპირობა ერდოღანის მისწრაფებამ, აღადგინოს საპრეზიდენტო რესპუბლიკა და გააფართოვოს პრეზიდენტის უფლებები. ერდოღანი არ ჩქარობდა. ის ნელა, მაგრამ დაჟინებით უკვეცდა დავუთოღლუს უფლებებს. პრემიერ-მინისტრიც ნელ-ნელა უკანა პლანზე გადადიოდა.

ესაა უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ დავუთოღლუმ თანამდებობა დატოვა.

მეორე მიზეზს წარმოადგენს უთანხმოება პრემიერსა და პრეზიდენტს შორის, რომელიც განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში გამოიკვეთა. დავუთოღლუ ქურთებთან მოლაპარაკების მტკიცე მომხრე იყო, ერდოღანი კი ამ საკითხის სამხედრო მეთოდებით გადაჭრისაკენ მიისწრაფვოდა.

— ქურთები ტერორისტები არიან, ტერორისტებთან კი მშვიდობიანი მოლაპარაკებები გამორიცხულია, — ასეთი იყო ერდოღანის პოზიცია.

თურქულ მედიაში უკვე კარგა ხანია მუსირებდა ცნობები დავუთოღლუს შესაძლო გადადგომის თაობაზე. სახელდებოდა სხვადასხვა ვადა. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ პრემიერი პოსტს მარტში დატოვებდა, სხვები ამბობდნენ, ეს აპრილში მოხდებაო.

დავუთოღლუმ გადადგომის შესახებ მაისში გამოაცხადა.

# მოსკოვში ტერორისტი აიყვანეს



რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურმა (ფსბ) დააკავა ვინმე საიდოვი, რომელსაც ბრალად 9 მაისს ტერაქტების მომზადება დასდეს.

საიდოვის ჩვენების საფუძველზე დაკავებულია კიდევ რამდენიმე პირი: ერგაშევი, ტაჯაბოლტაევი და მურატოვი.

ყველა მათგანს ტერორიზმი დასდეს ბრალად.

— ისინი 9 მაისს მოსკოვში ტერაქტების მოწყობას აპირებდნენ, — აცხადებენ რუსი ჩეკისტები.

სასამართლომ ყველა დაკავებულს 1 ივნისამდე წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

# პოლონეთში რუსი ჯაშუში დააკავეს



პოლონეთის კონტრდაზვერვამ რუსი ჯაშუში სტანისლავ შ. დააკავა. პოლონელები ამტკიცებდნენ, რომ ის გრუ-ზე მუშაობდა.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მისი ვინაობა ჯერჯერობით არ ხმაურდება.

პოლონეთის პროკურატურის ცნობით, სტანისლავ შ. ერთ-ერთი რუსი ფეხბურთელის შვილია, რომელიც 1991 წელს პოლონეთში გადასახლდა. მას როგორც რუსეთის, ასევე პოლონეთის მოქალაქეობა ჰქონდა.

თუკი ბრალდება დამტკიცდა, სტანისლავ შ.-ს 10-წლიანი პატიმრობა ემუქრება.

# სომხებმა მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის აღიარება გადაიფიქრეს




სომხეთის პარლამენტი მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს აღარ განიხილავს. აღნიშნული საკითხი პარლამენტის დღის წესრიგიდან მოიხსნა. სესია 10 მაისს უნდა ჩატარდეს.

მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი ოპოზიციურმა პარტიებმა „მემკვიდრეობამ" და „სომხეთის ეროვნულმა კონგრესმა" წამოაყენეს. მთავრობამ ეს კანონპროექტი მოიწონა და პარლამენტს გადაუგზავნა.

ამის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ტელეფონით თავის სომეხ კოლეგას დაუკავშირდა. საუბარმა ორ საათზე მეტ ხანს გასტანა. ამის შემდეგ სომხეთის პრეზიდენტმა მიაღწია იმას, რომ მთიანი ყარაბაღის საკითხი პარლამენტის დღის წესრიგიდან ამოიღეს.

თუკი სომხეთი მთიან ყარაბაღის დამოუკიდებლობას აღიარებდა, ამით მთელ კავკასიაში ფეთქებადსაშიში მდგომარეობა შეიქმნებოდა. აზერბაიჯანის უკან თურქეთი დგას, რუსეთი კი ასეთი ფართომასშტაბიანი კონფლიქტისათვის მზად არ არის.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე დიმიტრი პესკოვმა ბიბისის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ სომხეთის მიერ მთიანი ყარაბაღის აღიარება მთელ რეგიონს ააფეთქებდა.

— შედეგად ამიერკავკასიაში ფართომასშტაბიანი ომი დაიწყებოდა. ამის დაშვება კი არ შეიძლება, — თქვა პესკოვმა.

# ბალცეროვიჩი: „უკრაინაში ეკონომიკური აღმავლობა დაიწყო"



უკრაინის პრეზიდენტის მრჩევლის, ლეშეკ ბალცეროვიჩის აზრით, ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობა დაიწყო. ბალცეროვიჩმა ეს „ამერიკის ხმის" კორესპონდენტს განუცხადა.

— ყველაზე მძიმე პერიოდი უკან დარჩა. უკრაინის ხელისუფლებამ შეძლო, საბიუჯეტო სფეროში ეკონომიკური კატასტროფა თავიდან აეცილებინა. რაც შეეხება აღმავლობას, ის გაგრძელდება, თუკი გაგრძელდა რეფორმები, — აცხადებს ბალცეროვიჩი.

პოროშენკოს პოლონელი მრჩევლის აზრით, უკრაინაში სასიკეთო გარდატეხა დაიწყო. ეს თანაბრად შეეხება როგორც ეკონომიკას, ისე პოლიტიკას.

ბალცეროვიჩმა გამოთქვა იმედი, რომ უკრაინის მთავრობა აღებულ ტემპს შეინარჩუნებს და საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი".

# მოსკოვში რადიოჟურნალისტი რუბცოვი მოკლეს



მოსკოვში ახალი ამბების ეროვნული სააგენტოს ჟურნალისტი ნიკოლოზ რუბცოვი მოკლეს.

მისი გვამი აღმოაჩინა დედამისმა, რომელიც შვილთან სააღდგომო დღესასწაულზე კალუგიდან ჩავიდა.

ქალს ბინის კარი ღია დახვდა, იატაკზე კი შვილის გასისხლიანებული გვამი ეგდო. რუბცოვი მხეცურად მოკლეს. მას დანით ზურგში 8 სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს. ამას გარდა, გვამს ცემის ნიშნებიც აჩნდა.

მოკლული ჟურნალისტის კოლეგები დანაშაულს არ უკავშირებენ მის პროფესიულ საქმიანობას. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ რუბცოვის ბინა გაძარცვულია.

როგორც ჩანს, მკვლელი რუბცოვის ნაცნობი იყო, რადგან ჟურნალისტმა ის ბინაში დაუბრკოლებლად შეუშვა.

მომხდარი ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# არჩევნები შოტლანდიაში



შოტლანდიის პარლამენტის არჩევნებში მტკიცედ ლიდერობენ ნაციონალისტები. მათ მხარი 46%-მა დაუჭირა. ლეიბორისტულმა პარტიამ, რომლის პოზიციებიც შოტლანდიაში, ტრადიციულად, ძლიერი იყო, მხოლოდ 22% დააგროვა. ექსპერტები აღნიშნავენ კონსერვატორული პარტიის წარმატებას. მას 21%-მა დაუჭირა მხარი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**იყიდება**

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

**განცხადებები**

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ევროპაში ინტრიგა ესპანეთში დარჩა

## სტატისტიკა, ფსონები



ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში დასასრულს უახლოვდება ეროვნული ჩემპიონატები. ინტრიგა თითქმის ყველგან „მოკვდა“ და მხოლოდ ესპანეთშია შენარჩუნებული. ვნახოთ, რა მოხდება ამ უქმეებზე.

**ინგლისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 07.05 | ნორვიჩი-მანჩესტერი | 4.2 | 3.5 | 1.85 |
| 07.05 | ბორნმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 07.05 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 5.0 | 4.0 | 1.65 |
| 07.05 | კრ.პალასი-სტოკი | 2.1 | 3.3 | 3.6 |
| 07.05 | სანდერლენდი-ჩელსი | 2.8 | 3.5 | 2.4 |
| 07.05 | ვესტ ჰემი-სუონსი | 1.44 | 4.4 | 7.0 |
| 07.05 | ლესტერი-ევერტონი | 1.8 | 3.75 | 4.2 |
| 08.05 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 1.85 | 3.75 | 4.0 |
| 08.05 | სიტი-არსენალი | 2.3 | 3.4 | 3.0 |
| 08.05 | ლივერპული-უოტფორდი | 1.44 | 4.33 | 7.5 |

**ნორვიჩი-მანჩესტერი**

ნორვიჩი: ***ტრავმ***-რაიან ბენეტი, ანდრე უისდომი, ტიმ კლოსე, ალექსანდერ ტეტეი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ბასტიან შვაინშტაიგერი, უილიამ კინი, ლუკ შოუ

**ბორნმუთი-ვესტ ბრომვიჩი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ტოკელო რანტიე, მაქს გრადელი, ადამ სმიტი, ტაირონ მინგსი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ალექს პრიჩარდი, კრის ბრუნტი, ჯეიმს მორისონი

**ასტონ ვილა-ნიუკასლი**

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-კირონ რიჩარდსონი, ჯორდან ამავი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ვურნონ ანიტა, დარილ იანმაატი, რობერტ ელიოტი, ფაბრიციო კოლოჩინი, ტიმ კრული, მასადიო ჰაიდარა

**კრ.პალასი-სტოკი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-მარუან შამახი, ვილფრედ ზაჰა, ბრედ ჰანგელანდი

სტოკი: ***ტრავმ***-მარკო არნაუტოვიჩი, შეი გივენი, იბრაჰიმ აფელაი, ჯეკ ბუტლანდი, გლენ ჯონსონი, მარკ უილსონი

**სანდერლენდი-ჩელსი**

სანდერლენდი: ***ტრავმ***-არავინ

ჩელსი: ***ტრავმ***-ლოიკ რემი, კურტ ზუმა

**ვესტ ჰემი-სუონსი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-არავინ

სუონსი: ***ტრავმ***-ალბერტო პალოსკი, ლეროი ფერი

**ლესტერი-ევერტონი**

ლესტერი: ***ტრავმ***-ლეონარდო ულოა

ევერტონი: ***ტრავმ***-გერარდ დელოუფე, გარეთ ბარი, სიმუს კულემანი, ფილ იაგიელკა, ტიას ბრაუნინგი

**ტოტენჰემი-საუთჰემპტონი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-დანი როუზი, ტობი ალდერვილერდი, ნაბილ ბენტალები

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-არავინ

**სიტი-არსენალი**

სიტი: ***ტრავმ***-პავლო ზაბალეტა, დავიდ სილვა, იაია ტურე, ვინსენტ კომპანი

არსენალი: ***ტრავმ***-პერ მერტეზაკერი

**ლივერპული-უოტფორდი**

ლივერპული: ***ტრავმ***-დივოკ ორიჯი, ჯორდან ჰენდერსონი, ემრე კანი, ჯორდან როსიტერი, ჯოზეფ გომესი, დანი ინგსი

უოტფორდი: ***ტრავმ***-ეტიენ კაპო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 36 | 22 | 11 | 3 | 64-34 | 77 |
| 2.ტოტენჰემი | 36 | 19 | 13 | 4 | 67-28 | 70 |
| 3.არსენალი | 36 | 19 | 10 | 7 | 59-34 | 67 |
| 4.სიტი | 36 | 19 | 7 | 10 | 68-38 | 64 |
| 5.მანჩესტერი | 35 | 17 | 9 | 9 | 43-31 | 60 |
| 6.ვესტ ჰემი | 35 | 15 | 14 | 6 | 60-43 | 59 |
| 7.საუთჰემპტონი | 36 | 16 | 9 | 11 | 53-39 | 57 |
| 8.ლივერპული | 35 | 15 | 10 | 10 | 59-48 | 55 |
| 9.ჩელსი | 35 | 12 | 12 | 11 | 55-48 | 48 |
| 10.სტოკი | 36 | 13 | 9 | 14 | 38-52 | 48 |
| 11.ევერტონი | 35 | 10 | 14 | 11 | 55-49 | 44 |
| 12.უოტფორდი | 35 | 12 | 8 | 15 | 36-42 | 44 |
| 13.სუონსი | 36 | 11 | 10 | 15 | 37-50 | 43 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 36 | 10 | 11 | 15 | 32-46 | 41 |
| 15.ბორნმუთი | 36 | 11 | 8 | 17 | 43-63 | 41 |
| 16.კრ.პალასი | 36 | 10 | 9 | 17 | 36-46 | 39 |
| 17.ნიუკასლი | 36 | 8 | 9 | 19 | 39-64 | 33 |
| 18.სანდერლენდი | 35 | 7 | 11 | 17 | 40-58 | 32 |
| 19.ნორვიჩი | 35 | 8 | 7 | 20 | 35-61 | 31 |
| 20.ასტონ ვილა | 36 | 3 | 7 | 26 | 27-72 | 16 |

**ესპანეთი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 08.05 | რეალი-ვალენსია | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 08.05 | ლევანტე-ატლეტიკო | 13.0 | 6.0 | 1.22 |
| 08.05 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.02 | 17.0 | 41.0 |
| 08.05 | სევილია-გრანადა | 2.5 | 3.6 | 2.6 |
| 08.05 | სოსიედადი-რაიო | 3.4 | 3.75 | 2.0 |
| 08.05 | ხეტაფე-ხიხონი | 2.15 | 3.5 | 3.25 |
| 08.05 | სელტა-მალაგა | 1.53 | 4.2 | 6.0 |
| 08.05 | ვილიარეალი-დეპორტივო | 2.45 | 3.4 | 2.8 |
| 08.05 | ეიბარი-ბეტისი | 2.2 | 3.5 | 3.1 |
| 08.05 | ლას პალმასი-ბილბაო | 4.0 | 3.75 | 1.85 |

**რეალი-ვალენსია**

რეალი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ნაჩო მონრეალი

ვალენსია: ***ტრავმ***-ენცო პერესი, დენის ჩერიშევი, ხოსე გაია, ზაკარია ბაკალი

**ლევანტე-ატლეტიკო**

ლევანტე: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ხოსე მარი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ტიაგო

**ბარსელონა-ესპანიოლი**

ბარსელონა: ***ტრავმ***-კლაუდიო ბრავო, ტომას ვერმალენი, ჯერემი მატიე, სანდრო რამირესი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-აბრაამ გონსალესი, ანაიც არბილია; ***დისკვ***-ოსკარ დუარტე, ალვარო

**სევილია-გრანადა**

სევილია: ***ტრავმ***-მიქაელ კრონდელი, მარკო ანდრეოლი

გრანადა: ***ტრავმ***-არავინ

**სოსიედადი-რაიო**

სოსიედადი: ***ტრავმ***-ექტორი, ინიგო მარტინესი, კარლოს მარტინესი, იმანოლ არიგეჩე, სერხიო კანალესი; ***დისკვ***-მარკელ ბერგარა, ხოსება ზალდუა

რაიო: ***ტრავმ***-პიტი, ტონო, რაულ ბაენა, ზე კასტრო, პატრიკ ებერტი

**ხეტაფე-ხიხონი**

ხეტაფე: ***ტრავმ***-რობერტო ლაგო, ალვარო პერეირა

ხიხონი: ***ტრავმ***-ბერნარდო ესპინოზა

**სელტა-მალაგა**

სელტა: ***ტრავმ***-კლაუდიო ბოვო, ენდრიუ ფონტასი; ***დისკვ***-გუსტავო კარბალი

მალაგა: ***ტრავმ***-რობერტო როსალესი, ხუან კარლოსი; ***დისკვ***-რაულ რედალი

**ვილიარეალი-დეპორტივო**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-არავინ

დეპორტივო: ***ტრავმ***-გერმან ლუნსი; ***დისკვ***-ცელსო ბორხესი, ფერნანდო ნავარო

**ეიბარი-ბეტისი**

ეიბარი: ***ტრავმ***-არავინ

ბეტისი: ***ტრავმ***-ხუან ვარგასი, დიდიე დიუგარი, კრისტიანო პიცინი; ***დისკვ***-დანი სებალოსი, ჰეიკო ვესტერმანი

**ლას პალმასი-ბილბაო**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ხავი კასტელანო

ბილბაო: ***ტრავმ***-საბინ მერინო, აიმერიკ ლაპორტე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 36 | 27 | 4 | 5 | 104-29 | 85 |
| 2.ატლეტიკო | 36 | 27 | 4 | 5 | 60-16 | 85 |
| 3.რეალი | 36 | 26 | 6 | 4 | 105-32 | 84 |
| 4.ვილიარეალი | 36 | 18 | 10 | 8 | 44-31 | 64 |
| 5.ბილბაო | 36 | 17 | 7 | 12 | 55-44 | 58 |
| 6.სელტა | 36 | 16 | 9 | 11 | 50-57 | 57 |
| 7.სევილია | 36 | 14 | 10 | 12 | 49-43 | 52 |
| 8.მალაგა | 36 | 11 | 12 | 13 | 34-33 | 45 |
| 9.ვალენსია | 36 | 11 | 11 | 14 | 44-44 | 44 |
| 10.ლას პალმასი | 36 | 12 | 7 | 17 | 44-49 | 43 |
| 11.ეიბარი | 36 | 11 | 9 | 16 | 46-56 | 42 |
| 12.სოსიედადი | 36 | 11 | 9 | 16 | 42-47 | 42 |
| 13.ბეტისი | 36 | 10 | 11 | 15 | 31-50 | 41 |
| 14.ესპანიოლი | 36 | 11 | 7 | 18 | 36-67 | 40 |
| 15.დეპორტივო | 36 | 7 | 18 | 11 | 43-59 | 39 |
| 16.გრანადა | 36 | 9 | 9 | 18 | 42-65 | 36 |
| 17.რაიო | 36 | 8 | 11 | 17 | 48-70 | 35 |
| 18.ხიხონი | 36 | 9 | 8 | 19 | 37-61 | 35 |
| 19.ხეტაფე | 36 | 9 | 8 | 19 | 35-64 | 35 |
| 20.ლევანტე | 36 | 7 | 8 | 21 | 34-66 | 29 |

**გერმანია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 07.05 | ინგოლშტადი-ბაიერნი | 11.0 | 6.0 | 1.25 |
| 07.05 | აინტრახტი-დორტმუნდი | 7.0 | 5.0 | 1.4 |
| 07.05 | გლადბახი-ლევერკუზენი | 1.91 | 3.6 | 3.75 |
| 07.05 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 2.6 | 3.3 | 2.7 |
| 07.05 | კიოლნი-ვერდერი | 2.8 | 3.75 | 2.3 |
| 07.05 | შალკე-აუგსბურგი | 1.67 | 4.2 | 4.5 |
| 07.05 | ჰერტა-დარმშტადი | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 07.05 | შტუტგარტი-მაინცი | 2.05 | 4.0 | 3.1 |
| 07.05 | ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი | 3.25 | 3.8 | 2.05 |

**ინგოლშტადი-ბაიერნი**

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-დანილო სოარესი

ბაიერნი: ***ტრავმ***-არიენ რობენი, ჰოლგერ ბადშტუბერი, მილოშ პანტოვიჩი

**აინტრახტი-დორტმუნდი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-შტეფან რეინალტცი, ალექსანდერ მეიერი, სლობოდან მადოიევიჩი, იოანეს ფლუმი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ნევენ სუბოტიჩი

**გლადბახი-ლევერკუზენი**

გლადბახი: ***ტრავმ***-მარტინ შტრანცლი, ტონი იანტჩკე, ალვარო დომინგესი, ნიკო შულცი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ვლადლენ იურჩენკო, ვენდელი, ჯონათან ტა, კირიაკოს პაპადოპულოსი

**ჰამბურგი-ვოლფსბურგი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-დენის დიკმაიერი, ანდრეას ჰირცელი, ალბინ ეკდალი, ნიკოლაი მიულერი, იოსიპ დრმიჩი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ბრუნო ენრიკე, ჯულიან დრექსლერი, სებასტიან იუნგი

**კიოლნი-ვერდერი**

კიოლნი: ***ტრავმ***-მერგიმ მავრაი

ვერდერი: ***ტრავმ***-მილოშ ველიკოვიჩი, ლუკა ზანდერი, არონ იოჰანსონი

**შალკე-აუგსბურგი**

შალკე: ***ტრავმ***-სიდნეი სამი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-პოლ ვერაე, პიოტრ ტროხოვსკი, ალექსანდერ ესვეინი, იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერი

**ჰერტა-დარმშტადი**

ჰერტა: ***ტრავმ***-ვლადიმირ დარიდა, იოანეს ვან დენ ბერგი, ჯონ ბრუკსი, რონი, როი ბერენსი

დარმშტადი: ***ტრავმ***-იან როზენტალი

**შტუტგარტი-მაინცი**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-სერეი დიე, მარტ რისტი, კევინ გროსკროიცი, არიანიტ ფერატი, დანიელ გინსეკი

მაინცი: ***ტრავმ***-იოშინორი მუტო, დევანტე პარკერი

**ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-უგო ალმეიდა, ალან მაქსიმი, ოლივერ სორგი, კენან კარამანი, ალექსანდერ მილოშევიჩი, უფე ბეხი, მარიუს ვოლფი, ჰოტარუ იამაგუჩი, ფელიპე, ჩარლისონ ბენშოპი, ლეონ ანდრეასენი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ფაბიან შარი, სტივენ ზუბერი, ჯინ სუ კიმი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 32 | 26 | 4 | 2 | 75-15 | 82 |
| 2.დორტმუნდი | 32 | 24 | 5 | 3 | 80-31 | 77 |
| 3.ლევერკუზენი | 32 | 17 | 6 | 9 | 52-36 | 57 |
| 4.გლადბახი | 32 | 15 | 4 | 13 | 63-49 | 49 |
| 5.ჰერტა | 32 | 14 | 7 | 11 | 41-40 | 49 |
| 6.შალკე | 32 | 14 | 6 | 12 | 46-47 | 48 |
| 7.მაინცი | 32 | 13 | 7 | 12 | 43-41 | 46 |
| 8.კიოლნი | 32 | 10 | 11 | 11 | 36-40 | 41 |
| 9.ინგოლშტადტი | 32 | 10 | 10 | 12 | 30-37 | 40 |
| 10.ვოლფსბურგი | 32 | 10 | 9 | 13 | 43-48 | 39 |
| 11.ჰამბურგი | 32 | 10 | 8 | 14 | 37-44 | 38 |
| 12.აუგსბურგი | 32 | 9 | 10 | 13 | 40-48 | 37 |
| 13.ჰოფენჰაიმი | 32 | 9 | 10 | 13 | 38-49 | 37 |
| 14.დარმშტადტი | 32 | 8 | 11 | 13 | 36-50 | 35 |
| 15.ვერდერი | 32 | 9 | 7 | 16 | 49-65 | 34 |
| 16.აინტრახტი | 32 | 8 | 9 | 15 | 33-51 | 33 |
| 17.შტუტგარტი | 32 | 9 | 6 | 17 | 48-69 | 33 |
| 18.ჰანოვერი | 32 | 6 | 4 | 22 | 29-59 | 22 |

**იტალია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 07.05 | ინტერი-ემპოლი | 1.36 | 5.0 | 8.0 |
| 07.05 | ბოლონია-მილანი | 3.75 | 3.4 | 2.0 |
| 08.05 | რომა-კიევო | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 08.05 | ფიორენტინა-პალერმო | 1.85 | 3.6 | 4.2 |
| 08.05 | ატალანტა-უდინეზე | 3.6 | 3.4 | 2.05 |
| 08.05 | სამპდორია-ჯენოა | 2.4 | 2.87 | 3.2 |
| 08.05 | კარპი-ლაციო | 2.5 | 3.25 | 2.8 |
| 08.05 | ფროზინონე-სასუოლო | 3.75 | 3.75 | 1.91 |
| 08.05 | ტორინო-ნაპოლი | 6.0 | 5.0 | 1.44 |
| 08.06 | ვერონა-იუვენტუსი | 6.0 | 4.0 | 1.5 |

**ინტერი-ემპოლი**

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ჯეისონ მურილიო

ემპოლი: ***ტრავმ***-ალესანდრო პიუ, ვინსენტ ლორინი, ლუკას სკორუპსკი, მარკო ლივაია; ***დისკვ***-ლევან მჭედლიძე

**ბოლონია-მილანი**

ბოლონია: ***ტრავმ***-არჰიმედ მორლეო, მატია დესტრო

მილანი: ***ტრავმ***-ლუკა ანტონელი, როდრიგო ელი, ჯაკომო ბონავენტურა, მბიაე ნიანგი

**რომა-კიევო**

რომა: ***ტრავმ***-არავინ

კიევო: ***ტრავმ***-ნიკოლას ფრეი, დარიო დაინელი, ფედერიკო მატიელო

**ფიორენტინა-პალერმო**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ხოუმა ბუბაქარი; ***დისკვ***-ნენად ტომოვიჩი

პალერმო: ***ტრავმ***-არავინ

**ატალანტა-უდინეზე**

ატალანტა: ***ტრავმ***-გულიელმო სტენდარდო, მაურისიო პინილია, კარლოს კარმონა

უდინეზე: ***ტრავმ***-ანტონიო დი ნატალე

**სამპდორია-ჯენოა**

სამპდორია: ***ტრავმ***-კარლოს კარბონერო; ***დისკვ***-ნენად კრსტიჩიჩი

ჯენოა: ***ტრავმ***-მატია პერინი

**კარპი-ლაციო**

კარპი: ***ტრავმ***-იგორ ბუბნიჩი

ლაციო: ***ტრავმ***-ალესანდრო მატრი, რიკარდო კიშნა, შტეფან რადუ, შტეფან დე ვრეი; ***დისკვ***-სანტიაგო ჯენტილეტი, კეიტა

**ფროზინონე-სასუოლო**

ფროზინონე: ***ტრავმ***-არავინ; მირკო გორი

სასუოლო: ***ტრავმ***-დავიდე ბიონდინი, ლუკა ანტეი

**ტორინო-ნაპოლი**

ტორინო: ***ტრავმ***-ჩირო იმობილე, დანილო აველარი

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

**ვერონა-იუვენტუსი**

ვერონა: ***ტრავმ***-სამუელ სუპრაიენი, ჯამპაოლო პაცინი, მოჰამედ ფარესი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-კლაუდიო მარკიზიო, მარტინ კასერესი; ***დისკვ***-შტეფან ლიხშტაინერი, პოლ პოგბა, ერნანესი, მარიო მანჯუკიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 36 | 28 | 4 | 4 | 69-18 | 88 |
| 2.ნაპოლი | 36 | 23 | 7 | 6 | 74-31 | 76 |
| 3.რომა | 36 | 21 | 11 | 4 | 77-40 | 74 |
| 4.ინტერი | 36 | 19 | 7 | 10 | 47-34 | 64 |
| 5.ფიორენტინა | 36 | 17 | 9 | 10 | 56-40 | 60 |
| 6.სასუოლო | 36 | 14 | 13 | 9 | 45-39 | 55 |
| 7.მილანი | 36 | 14 | 12 | 10 | 47-40 | 54 |
| 8.ლაციო | 36 | 14 | 9 | 13 | 47-47 | 51 |
| 9.კიევო | 36 | 13 | 10 | 13 | 43-42 | 49 |
| 10.ტორინო | 36 | 12 | 9 | 15 | 50-51 | 45 |
| 11.ემპოლი | 36 | 11 | 10 | 15 | 37-46 | 43 |
| 12.ჯენოა | 36 | 12 | 7 | 17 | 41-46 | 43 |
| 13.ბოლონია | 36 | 11 | 8 | 17 | 33-44 | 41 |
| 14.ატალანტა | 36 | 10 | 11 | 15 | 38-45 | 41 |
| 15.სამპდორია | 36 | 10 | 10 | 16 | 48-53 | 40 |
| 16.უდინეზე | 36 | 10 | 8 | 18 | 33-57 | 38 |
| 17.კარპი | 36 | 8 | 11 | 17 | 34-53 | 35 |
| 18.პალერმო | 36 | 9 | 8 | 19 | 35-63 | 35 |
| 19.ფროზინონე | 36 | 8 | 7 | 21 | 35-71 | 31 |
| 20.ვერონა | 36 | 4 | 13 | 19 | 30-59 | 25 |

**საფრანგეთი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 07.05 | გაზელეკი-პსჟ | 6.0 | 4.4 | 1.5 |
| 07.05 | ნიცა-სტ.ეტიენი | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 07.05 | ლიონი-მონაკო | 1.85 | 3.75 | 4.0 |
| 07.05 | ბორდო-ლორიანი | 1.95 | 3.75 | 3.6 |
| 07.05 | მარსელი-რეიმსი | 1.85 | 3.75 | 4.0 |
| 07.05 | ლილი-გენგამი | 1.4 | 4.4 | 8.5 |
| 07.05 | ბასტია-ანჟე | 2.4 | 3.0 | 3.2 |
| 07.05 | ტულუზა-ტრუა | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 07.05 | ნანტი-კაენი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 07.05 | მონპელიე-რენი | 2.3 | 3.3 | 3.1 |

**გაზელეკი-პსჟ**

გაზელეკი: ***ტრავმ***-მოჰამედ ლარბი, ჯერემი ბრეჩე

პსჟ: ***ტრავმ***-ბლეზ მატუიდი

**ნიცა-სტ.ეტიენი**

ნიცა: ***ტრავმ***-მაჰამანე ტრაორე, მეტიუ ბოდმერი, მიშელ ლე ბიანი, სიმონ პუპლინი

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ოსამა ტანანე, კევინ მონე, ჯონათან ბრისონი, რობერტ ბერიჩი

**ლიონი-მონაკო**

ლიონი: ***ტრავმ***-სტიდ მალბრანქი, ალდო კალულუ

მონაკო: ***ტრავმ***-ჯერემი ტულანანი, ალმამი ტრაორე, ადამა ტრაორე, ფაბიო კოენტრაუ, მარიო პასალიჩი

**ბორდო-ლორიანი**

ბორდო: ***ტრავმ***-მაურო არამბარი, სედრიკ კარასო, გრეგუარ სერტიჩი

ლორიანი: ***ტრავმ***-ზარგო ტურე, მეიჯედ უორისი, ლინდსეი როუზი, ვინსენტ ლე გოფი

**მარსელი-რეიმსი**

მარსელი: ***ტრავმ***-როლანდო, მაურისიო ისლა, სტეფან სპარანგა, ლასანა დიარა

რეიმსი: ***ტრავმ***-ოდირ ფორტესი, მოჰამედ ფოფანა, ჰასანე კამარა, ალექს პეჟო

**ლილი-გენგამი**

ლილი: ***ტრავმ***-ბენჯამინ პავარდი, მარკო ბასა, მარვინ მარტინი, მაიკ მაინანი

გენგამი: ***ტრავმ***-ლიონელ მატისი, ნიკოლას ბენეზეტი, დორიან ლევო

**ბასტია-ანჟე**

ბასტია: ***ტრავმ***-ფლოიდ აიტე, ბრანდაო, ჯულიან პალმიერი, ფლორიან რასპენტინო

ანჟე: ***ტრავმ***-არავინ

**ტულუზა-ტრუა**

ტულუზა: ***ტრავმ***-ნუმან ბოსტან, ტონგო დუმბია, ალეკსანდარ პესიჩი

ტრუა: ***ტრავმ***-მოჰამადუ დაბო, ბრაიან პერეა, ქვენტინ ორტონი, იოან მარსიალი, ანელე ნგკონგკა, მორი კონე

**ნანტი-კაენი**

ნანტი: ***ტრავმ***-ვილფრედ მოიმბე, იოან აუდელი, კოლბეინ სიტორსონი, ალექსის ელანდი, ვალენტინ რონიე

კაენი: ***ტრავმ***-ჩაკერ ალადური, დამიენ და სილვა, ემანუელ იმოროუ, კრისტიან კუაკოუ

**მონპელიე-რენი**

მონპელიე: ***ტრავმ***-პოლ ლანსე

რენი: ***ტრავმ***-კამილ გროსიცკი, აბდულაიე დიალო, პოლ ნტეპი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 35 | 28 | 5 | 2 | 93-18 | 89 |
| 2.ლიონი | 36 | 18 | 8 | 10 | 60-38 | 62 |
| 3.მონაკო | 36 | 16 | 14 | 6 | 54-44 | 62 |
| 4.სტ.ეტიენი | 36 | 17 | 7 | 12 | 42-34 | 58 |
| 5.ნიცა | 36 | 16 | 9 | 11 | 53-39 | 57 |
| 6.ლილი | 36 | 14 | 14 | 8 | 38-27 | 56 |
| 7.რენი | 36 | 13 | 13 | 10 | 51-50 | 52 |
| 8.ანჟე | 36 | 13 | 11 | 12 | 38-34 | 50 |
| 9.ნანტი | 36 | 12 | 12 | 12 | 32-38 | 48 |
| 10.კაენი | 36 | 14 | 6 | 16 | 36-51 | 48 |
| 11.მონპელიე | 36 | 13 | 7 | 16 | 47-45 | 46 |
| 12.ბორდო | 35 | 11 | 13 | 11 | 46-55 | 46 |
| 13.მარსელი | 36 | 9 | 17 | 10 | 46-41 | 44 |
| 14.ბასტია | 36 | 12 | 8 | 16 | 33-41 | 44 |
| 15.გენგამი | 36 | 11 | 10 | 15 | 45-53 | 43 |
| 16.ლორიანი | 36 | 10 | 13 | 13 | 46-55 | 43 |
| 17.გაზელეკი | 36 | 8 | 13 | 15 | 37-53 | 37 |
| 18.რეიმსი | 36 | 9 | 9 | 18 | 40-55 | 36 |
| 19.ტულუზა | 36 | 7 | 13 | 16 | 41-53 | 34 |
| 20.ტრუა | 36 | 3 | 8 | 25 | 27-81 | 17 |

# საქართველოს თასის ფინალში თბილისის დინამო და სიონი ითამაშებენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მეორე ტაიმში პირველი სახიფათო მომენტი დინამოელებმა შექმნეს, როცა ჯაბა ჯიღაურის შორიდან დარტყმული ბურთი მასპინძელთა კარს ზემოდან გადაევლო. გუნდებმა თამაში აქტიურად გააგრძელეს. 66-ე წუთზე თბილისელებმა კუთხური მოაწოდეს. ბურთი შეცვლაზე შემოსულმა მიკელ ალვარომ მიიღო, ჩააწოდა საჯარიმოში, იქ კი გიორგი ქვილითაია გზავნიდა ბურთს კარისკენ, თუმცა მეკარემ იმარჯვა. მომდევნო შეტევაში კი ჩემპიონატის ბომბარდირმა ალექსანდრე იაშვილის პასით მაინც გაიტანა – 1:1.

თბილისელებმა კიდევ ერთი გოლი მატჩის ბოლო წუთზე გაიტანეს. გიორგი გურულმა ბურთი მეტოქის საჯარიმოში გიორგი ქვილითაიასგან მიიღო, ზუსტადაც დაარტყა და მატჩიც თბილისელთა გამარჯვებით დასრულდა – 2:1.

სიონი – ვიტ ჯორჯია 3:1

ბოლნისი. თამაზ სტეფანია

1:0, 2:0 ტატანაშვილი (17პ, 30), 2:1 კურდღელაშვილი (67პ), 3:1 ტატანაშვილი (87)

სიონი: მერლანი, სვანიძე, კილასონია, გაფრინდაშვილი, გიორბელიძე (საჯაია 90), ვასაძე, გოგობერიშვილი (გვალია 56), მანჯგალაძე, რაზმაძე, ტატანაშვილი, კობახიძე (გოგინაშვილი 76)

ვიტ ჯორჯია: შეროზია, კალანდია (მუხელიშვილი 79), გაგნიძე, ჩიტიშვილი, დანელია, ღუდუშაური, გახარია, თათხაშვილი, კურდღელაშვილი, კახაბრიშვილი (ვაზაგაშვილი 46), კამლაძე (34)

მე-17 წუთზე ანგარიში დიმიტრი ტატანაშვილმა 11 მეტრიანის ნიშნულიდან გახსნა, რომელიც გიული მანჯგალაძეს წესის დარღვევის გამო დაინიშნა. უპირატესობა ორამდე, ჯელაძის შეგირდებმა 34-ე წუთზე გაზარდეს, კობახიძემ მანჯგალაძეს კარგი გადაცემა გაუკეთა, რომელმაც ძლიერად დაარტყა. შეროზიამ ბურთი ცუდად მოიგერია, დამატებაზე ტატანაშვილმა თავით ყველას დაასწრო – 2:0.

მეორე ტაიმში ვიტ ჯორჯიამ მოუმატა, რასაც მერლანის კარში დანიშნული 11-მეტრიანი მოჰყვა – კურდღელაშვილს მასპინძელთა კიპერმა კუთხე გამოუცნო, თუმცა აღება ვერ შეძლო.

თამაში დაიძაბა. იქიდან გამომდინარე, რომ პირველი შეხვედრა 2:2 იყო დასრულებული, სტუმრებს ამავე ანგარიშზე თამაშის დამატებით დროში გადაყვანის შანსი მიეცათ, თუმცა, ტატანაშვილმა მოწინააღმდეგეს შანსი არ დაუტოვა. გიული მანჯგალაძის მიერ ჩამოწოდებულ კუთხურს მეკარისგან მაღალ მარჯვენა კუთხეში თავი დაუხვედრა და ყველანაირი კითხვის ნიშანი გააქრო – 3:1.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# TV პროგრამა

## ორშაბათი 9 მაისი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "მუსიკოლოგოსი" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი — წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.10 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 ქართ. მხ/ფ "**ჯარისკაცის მამა**" 23.30 საშობაო ტრილოგია – ვ. კახიძე 00.20 მხ/ფ "**კასაბლანკა**"

08.00 დ/ფ "დრაკონების მუზეუმი" 08.50 მხ/ფ "**მაკარტური**" 11.00 დ/ფ "დიდი ბრიტანეთი" 11.30 ქართ. მხ/ფ "**ღიმილის ბიჭები**" 13.00 დ/ფ "ქვეყანა ბავშვების გარეშე" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.30 მხ/ფ "**მისი გული**" 02.45 მხ/ფ "**ძარცვა იტალიურად**"

